



აკადემიის მაცნე

ელ-ფოსტა:

acad.as@gaas.dsl.ge

ვებ-საიტი:

www.gaas.dsl.ge

თბილისი, 0102, ივანე ჯავახიშვილის ქ. №51

ტ. 2-91-03-90

ზეალო აბ უნდა ჰგავდეს დღევანდელს, თუ კაცს პრეტენზი,
წინსვლა ადამიანისა თუ წიფცუად აბ მიაჩნია
ილია ჩაუკავად

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოში

გაზეთი “აკადემიის მაცნე“, რომელიც გამოდის კვარტალში ერთხელ, სისტემატიურად აშუქებს აკადემიის საქმიანობას, აკადემიური საბჭოს სხდომაზე განხილულ ცალკეულ მნიშვნელოვან საკითხებს, თანამედროვე საინტერესო მოვლენებსა და მათდამი მიდგომებს, მოწინავე გამოცდილებასა და ტექნოლოგიებს და სხვ. გაზეთში ასევე ყურადღება ეთმობა საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობის მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივებს.

ამგვარად გაზეთის ფურცლებზე შექდება აკადემიის აკადემიური საბჭოს მოკლე ანგარიში ყოველ კვარტალში ჩატარებული საქმიანობის შესახებ. ვფიქრობთ იგი კარგი სარეკლამო – საინფორმაციო საშუალებაა აკადემიის საქმიანობის ობიექტურად შეფასებისათვის.

სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის ხელშეკრულება ბელარუსიის მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან

2015 წლის 23 აპრილს საქართველოს პრეზიდენტის სასახლეში, ბელარუსიის პრეზიდენტის, ბატონ ალექსანდრე ლუკაშენკოს საქართველოში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა და ბელარუსიის მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიებს შორის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის ოფიციალური ცერემონია. თანამშრომლობის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ და ბელარუსიის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის თანამშრომლობის აკადემიკოსმა ვლადიმერ გუსაკოვმა.

ორი ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიებს შორის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას ესწრებოდნენ საქართველოს პრეზიდენტი, ბატონი გიორგი მარგველაშვილი და ბელარუსიის რესპუბლიკის პრეზიდენტი, ბატონი ალექსანდრე ლუკაშენკო.

სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის ხელშეკრულების მიზნებია: მხარეთა სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის გაძლიერება; ორივე მხარეს შორის ურთიერთობის გაფართოება; სამეცნიერო თანამშრომლობისა და ერთობლივი სამეცნიერო ნამუშევართა პრაქტიკული რეალიზაციის ხელშეწყობა ორივე მხარისათვის საინტერესო სფეროების მიხედვით.

ამ თანამშრომლობის ძირითადი ამოცანებია: შეთანხმებული პრიორიტეტული მიმართულებების ჩარჩოებში ერთობლივი კვლევების დამუშავების ორგანიზაცია; საქართველოს, ბელარუსის რესპუბლიკასა და სხვა ქვეყნებში ერთობლივი საქმიანობის შედეგების კომერციალიზაციის, იდეების, ინფორმაციებისა და ტექნოლოგიების გაცვლის და ორივე მხარის მიერ სამეცნიერო ინფრასტრუქტურის გამოყენებისათვის ხელშეწყობი პირობების შექმნა.



სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის ხელშეკრულებაზე ხელს აწერენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე (მარჯვნივ) და ბელარუსიის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ვლადიმერ გუსაკოვი.



საქართველოს და ბელარუსიის მეცნიერებათა აკადემიებს შორის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის ოფიციალური ცერემონია.



სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემდეგ. მარცხნიდან - ბელარუსიის რესპუბლიკის პრეზიდენტი, ბატონი ალექსანდრე ლუკაშენკო, ბელარუსიის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ვლადიმერ გუსაკოვი, საქართველოს პრეზიდენტი, ბატონი გიორგი მარგველაშვილი და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე.

ინფორმაცია

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება

2015 წლის 15 მაისს ჩატარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება, რომელმაც მოისმინა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გურამ ალექსიძის ანგარიში აკადემიაში მიმდინარე საქმიანობის შესახებ.

დღის წესრიგის მე-2 საკითხზე, “საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის არჩევნები”, ინფორმაცია გააკეთა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ. მან აკადემიის საერთო კრების მონაწილეებს – აკადემიის ნამდვილ წევრებს და წევრ-კორესპონდენტებს აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე წარუდგინა აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე.

ჩატარდა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის ასარჩევად ფარული კენჭისყრა. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე აკადემიის საერთო კრებამ (კრებას ესწრებოდა აკადემიის 33 წევრი) ერთხმად აირჩია აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭო უფლოცავს აკადემიკოს გივი ჯაფარიძეს ვიცე-პრეზიდენტად არჩევას, უსურვებს მას ამ თანამდებობაზე წარმატებებს სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

აკადემიის საინფორმაციო-სარეკლამო ბიულეტენის "აკადემიის მაცნეს" მიერ 2014 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2015 წლის 14 აპრილს მოისმინა მოხსენება აკადემიის საინფორმაციო-სარეკლამო ბიულეტენის "აკადემიის მაცნეს" მიერ 2014 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ. მომხსენებლები: "აკადემიის მაცნეს" მთავარი რედაქტორი - აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; რედაქტორის მოადგილე - აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ანატოლი გიორგაძე.

აღინიშნა, რომ 2014 წელს გამოვიდა გაზეთი "აკადემიის მაცნეს" 4 ნომერი. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საინფორმაციო-სარეკლამო ბიულეტენი "აკადემიის მაცნე" არის ყოველკვარტალური გაზეთი, რომელიც აშუქებს აკადემიურ საბჭოზე განხილულ საკითხებს, ასევე აკადემიის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებს. კერძოდ სემინარებს, მრგვალ მაგიდებს, კონფერენციებს, საერთაშორისო და ადგილობრივი თანამშრომლობის საკითხებს. გასულ წელს აკადემიის მაცნეს ფურცლებზე სულ გაშუქდა 37 საკითხი, რომელიც შეეხებოდა აკადემიის სამეცნიერო მიმართულებებს, რომლებიც განხილული იქნა აკადემიურ საბჭოზე. მასში აგრეთვე გამოქვეყნდა აკადემიის საერთო კრების მასალები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის "კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე" მიერ მიღებული თბილისის დეკლარაცია, მთლიანობაში 53 საკითხი. აღნიშნულ გაზეთში ასახულია აკადემიის აკადემიური საბჭოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები. მათ შორის: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების ანგარიშები 2013 წელს გაწეული მუშაობის შესახებ; აკადემიკოს ნუგზარ ბაღათურიას მოხსენება "მცირე მეწარმეობის განვითარების კონცეფცია სოფლის მეურნეობაში"; აკადემიკოს ზურაბ ციციტიშვილის მოხსენება "შემოდგომა ზამთრის პერიოდში რძის დეფიციტის არსებობის გამო მცენარეული ცხიმების მოხმარებით გამოწვეული საფრთხეების შესახებ"; მრგვალი მაგიდა "სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ"; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების მასალები; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს გურამ ალექსიძის მოხსენება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე; ინფორმაცია "შესვენება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეროვნულ კოორდინატორებთან"; ინფორმაცია აკადემიის მიერ სხვა ორგანიზაციებთან გასაფორმებელი მემორანდუმების შემუშავებულ კომისიებთან შესვენების შესახებ; სემინარი - სახნავი მიწის ინტენსიურად გამოყენების პრობლემები (წიგნის "საკვები კულტურების აგროწესებ" -ის პრეზენტაცია); აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გიორგი ნიკოლეიშვილისა და აკად. დოქტორის თინათინ დალაღიშვილის მოხსენება: "შემოდგომაზე თუთის გაუხეშებული ფოთლისაგან მეცხოველეობის არატრადიციული საკვების (ნეკერის) დამზადება, მიზანშეწონილობა და ეფექტურობა"; სემინარი

"მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის ამღლების გენეტიკური და სელექციური საფუძვლები"; აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გურამ ალექსიძის მოხსენება: "სასოფლო-სამეურნეო კვლევების გლობალური ფორუმის და FAO-ს ტროპიკული ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო კვლევების სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობის შესახებ (საფრანგეთი, მონპელიე)"; აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის როლანდ კოპალიანის მოხსენება: "აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის 2013 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ანგარიშის შესახებ"; ინფორმაცია - თანამშრომლობა "ელკანასთან"; შესვენება საკვების უსაფრთხოების საკითხებზე "ქართული ოცნება - მრეწველების" თბილისის ოფისში. განხილული იქნა პროექტი საქართველოს კანონის "სურსათად/ცხოველის საკვებად გამოყენებული გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ" პროექტი; ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ მომზადებული რეკომენდაციების შესახებ; ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმში კორეის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან; აკადემიკოს რევაზ მახარობლიძის მოხსენება: "მაღალი ტექნოლოგიების ათვისებაზე ორიენტირებული აგროსა-ინჟინრო დარგის პრიორიტეტები"; ინფორმაცია - მილოცვა აკადემიკოს ნოდარ ჩხარტიშვილს საქართველოს საპატრიარქოს უმაღლესი ჯილდოთი წმინდა გიორგის ოქროს ორდენით დაჯილდოების შესახებ; მრგვალი მაგიდა თემაზე: "სურსათის, ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის განხილვა"; ინფორმაცია - აგროარიკოს მეცნიერების შესვენება ქ. თბილისის მერობის კანდიდატ დავით ნარმანიასთან; აკადემიკოს ჯუმბერ ონიანის მოხსენება: "ნიადაგებში წყლიერი თვისებების სისტემათა რეგულირების შესახებ"; საერთო კრების მასალები - საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგია; საერთაშორისო სემინარი თემაზე: „დაჭაობებული ტერიტორიების ეკოსისტემის მდგრადი მართვა“; თანამშრომლობა უკრაინელ მეცნიერებთან. ინფორმაცია ვინიცის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის შესახებ; ინფორმაცია საერთაშორისო კონფერენციის შესახებ (პოდოლსკის აგრარულ ტექნიკური უნივერსიტეტი, უკრაინა); აკადემიკოს თამაზ კუნჭულიას მოხსენება: "სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის ახალი არჩევანი"; ბულგარეთის ქალაქ ვარნაში ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო-

ტექნიკური კონფერენციის შესახებ; სუბიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის, ევროპის რექტორთა კლუბის წევრის ვალერი სუბიშვილის მოხსენება „ სუბიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ“; აკადემიკოს თენგიზ ყურაშვილის მოხსენება „ზოონოზური დაავადებების გავრცელების მდგომარეობა საქართველოში და მასთან ბრძოლის მეცნიერული სიხსლავების შესახებ“; ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მომზადებული სტრატეგიის განხილვის შედეგების შესახებ; ინფორმაცია - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთობლივი ღია კრების შესახებ; ინფორმაცია - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და შპს სუბიშვილის სასწავლო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის მემორანდუმის შესახებ; ინფორმაცია - ქ.ფერგანაში (უზბეკეთი) ჩატარებული სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების შუა აზიისა და სამხრეთ საქართველოს სამეთვალყურეო საბჭოს მე-16 სხდომის შესახებ; ინფორმაცია - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და პოზნანის (პოლონეთი) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის შესახებ; ინფორმაცია - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ევროპის სოფლის მეურნეობის აკადემიების კავშირის წევრად არჩევის; ინფორმაცია ხალხთა მეგობრობის ფესტივალის შესახებ; ინფორმაცია - სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია “სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო მომსახურების სისტემების შესახებ საქართველოში”; აკადემიკოს ნუგზარ ბაღათურიას მოხსენება “ყურძნის გადამუშავების ნარჩენები და მათი რაციონალური გამოყენების ძირითადი მიმართულებები”; ინფორმაცია - საერთაშორისო კონფერენცია „კლიმატის ცვლი-

ლება და სოფლის მეურნეობის მდგრადი და უსაფრთხო განვითარება“; ინფორმაცია - თანამშრომლობა უკრაინის ქ. ვინიცის ეროვნულ აგრარულ უნივერსიტეტთან და “აგრო განვითარების ჯგუფთან”; ინფორმაცია - “საერთაშორისო სემინარი ვლადიკავკაზში”; სემინარი: “სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა ენდემური სახეობების, აბორიგენული და სელექციური ჯიშების არსებული მდგომარეობა, გამრავლება, სელექცია, კონსერვაცია”; სემინარი: “სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და ფრინველთა ენდემური სახეობების, აბორიგენული და სელექციური ჯიშების არსებული მდგომარეობა, გამრავლება, სელექცია, კონსერვაცია”; ინფორმაცია - გამსვლელი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია გორში თემაზე: “მეხილეობის და მებოსტნეობის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები შიდა ქართლში”; ინფორმაცია - შეხვედრა პოლონელ პარტნიორებთან; მრგვალი მაგიდა “პროგრესული ტექნოლოგიები მეციტრუსეობაში”- ანასეული; ინფორმაცია - ქ. ბიშკეკი (ყირგიზეთი) რეგიონალური კონფერენცია, შუა აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ფერმერთა საკონსულტაციო ცენტრების არსებული მდგომარეობა და მისი განვითარების გზები; ინფორმაცია - შეხვედრა სოფლის მეურნეობის მინისტრთან ოთარ დანელიასთან; აკადემიკოს ზაურ ჩანქსელიანის მოხსენება “აგრორადიოლოგიური და აგროეკოლოგიური გამოკვლევები, როგორც სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების საფუძველი”; სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის გიორგი გაგოშიძის მოხსენება “სატყეო განათლება საქართველოში და მისი განვითარების პერსპექტივები”; აკადემიკოს ზურაბ ცქიტიშვილის მოხსენება “რძის წარმოების ეფექტურობის განმსაზღვრელ ფაქტორთა კლასიფიკაცია”; ინფორმაცია - საინვესტიციო პროექტი - მებაბრეშუმეობის საკვები ბაზის, პარკის წარმოების და კუსტარული რეწვის ეტაპობრივი აღდგენა ხონის რაიონში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ინსტიტუტის 2014 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და 2015 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემირმა საბჭომ 2015 წლის 24 აპრილს მოისმინა მოხსენება “საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ინსტიტუტის 2014 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და 2015 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ.” მომხსენებელი: აკადემიის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივანი, ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია;

აღინიშნა, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2014 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები მიმდინარეობდა რამდენიმე მიმართულებით:

მიმართულება 1. “დამუშავდეს ფუნქციონალური დანიშნულების კვების პროდუქტების მიღე-

ბის რაციონალური ტექნოლოგიები ადგილობრივი ნედლეულის რესურსების გამოყენებით”. მსოფლიოში იზრდება მოთხოვნილება ფუნქციონალური დანიშნულების კვების პროდუქტებზე, რომლებიც წარმოადგენენ მედიკამენტური თერაპიის ალტერნატივას. ინსტიტუტში დამუშავებული ინოვაციური ტექნოლოგიებით შეიძლება წარმოე-

ბულ იქნას ანტიკანცეროგენური და რადიოპროტექტორული დანიშნულების საექსპორტო პროდუქცია. აღსანიშნავია შემდეგი ინოვაციური ტექნოლოგიები:

ანტიოქსიდანტური და ანტიკანცეროგენული სასმელის - “ბიოანტი” წარმოების ტექნოლოგია. ყურძნის გადამუშავების თხევადი და მყარი ნარჩენების გამოყენებით მიღებულ იქნა ყურძნის ფენოლური ნაერთებითა და დაბალმეტოქსილირებული პექტინით გამდიდრებული სამკურნალო – პროფილაქტიკური დანიშნულების სასმელი “ბიოანტი”, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც სამკურნალო – პროფილაქტიკური დანიშნულების სასმელი, რადიაციით დაბინძურებულ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში (იაპონია, ბელორუსია, საქართველო, რუსეთი, უკრაინა) მცხოვრები მოსახლეობისათვის.

“ბიოანტი”-ის დასახელებით ასევე შეგვიძლია ვაწარმოოთ ახალი თაობის ღიმონათები და მინერალური წყლები, რომლებშიც ბიოაქტიურ კომპონენტებად გამოყენებული იქნება დეტერპენიზირებული ნატურალური ეთეროვანი ზეთები. ეს ახალი საექსპორტო პროდუქტები შეიძლება ვაწარმოოთ საერთო ღირებულებით 150-200 მლნ აშშ დოლარის ოდენობით.

ციტრუსოვანთა ნაყოფებიდან ჰიდრატოპექტინის წარმოების ტექნოლოგია. ჰიდრატოპექტინი თავისი კომპლექსწარმოქმნელი უნარით 3-4-ჯერ აღემატება ტრადიციულ, მშრალ პექტინს. საქართველოში არსებული მანდარინის არასტანდარტული ნაყოფებისა წველების კონცენტრატების წარმოების ნარჩენების გამოყენებით შეიძლება ვაწარმოოთ საექსპორტო პროდუქცია რადიოპროტექტორული დანიშნულების სასმელების, ჰესპერიდინითა და ნარინგინით გამდიდრებული ნატურალური საკვები დანამატების სახით.

მიმართულება 2: ”შეიქმნას სამამულო წარმოების კონკურენტუნარიანი ღვინო და ალკოჰოლიანი სასმელები”

2010 წელს კვების მრეწველობის ს/კ ინსტიტუტმა მეღვინეობის მსოფლიო კონგრესს გააცნო ინსტიტუტში დამუშავებული ქართული (კახური) ტიპის ღვინოების ტექნოლოგიის მეცნიერული საფუძვლები. 2013 წელს იუნესკომ ქვეყრის ღვინის დაყენების კახურ მეთოდს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა, რაც გზას უხსნის ამ ტიპის ღვინოებს მსოფლიო ბა-

ზარზე დასამკვიდრებლად. ინსტიტუტში დამუშავებულია ქართული ტიპის ღვინოების წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიები, რომლებიც საშუალებას იძლევა გავაუმჯობესოთ ამ ტიპის ღვინოების ხარისხი და გავაფართოოთ მათი ასორტიმენტი.

ჭაჭის არაყი, ანუ “ჭაჭა” ქართული კულტურის ისეთივე ნიშანია, როგორც კახური ტიპის ღვინო. ინსტიტუტის მიერ დაპატენტებული ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის შემთხვევაში “ჭაჭა”-ს ყველა მონაცემი აქვს იქცეს ისეთივე სახელგანთქმულ სასმელად, როგორიცაა იტალიური “გრappa”. ამასთან, შეიძლება ვაწარმოოთ 20-25 მლნ ბოთლი საექსპორტო პროდუქცია, საერთო ღირებულებით 200-300 მლნ აშშ დოლარი. მომზადდა სასმელების ექსპერიმენტული ნიმუშები.

მიმართულება 3: “გამოკვლეულ იქნას ეკოლოგიურად სუფთა კვების პროდუქტები და საკვები დანამატების: საღებავების, არომატიზატორების, შემასქელებლების წარმოების რაციონალური ტექნოლოგიები”

„არომატიზირებულ ალკოჰოლიანი, უალკოჰოლო სასმელებისა და მინერალური წყლების წარმოება“.

პროექტი ითვალისწინებს მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი საექსპორტო პროდუქციის - არომატიზირებული მინერალური წყლების წარმოების მოწყობას.

მსოფლიო ბაზარზე დიდი პოპულარობით სარგებლობს არომატიზირებული მინერალური წყლები. აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთ მინერალური წყლების არომატიზაცია ხდება ნატურალურის იდენტური არომატიზატორებით, რომელთაც არანაირი სარგებელი ადამიანის ორგანიზმისათვის არ მოაქვთ. პირიქით, როგორც ნებისმიერი ხელოვნურად მიღებული დანამატი, ისინი უარყოფით გავლენას ახდენენ ადამიანის ორგანიზმზე.

კვების მრეწველობის ს/კ ინსტიტუტში პირველად შეიქმნა სამკურნალო-პროფილაქტიკური თვისებების მქონე ნატურალურ არომატიზატორებზე დამზადებული ბორჯომის, ნაბეღავეის და სხვ. მინერალური წყლები, რაც იძლევა ქართული მინერალური წყლების კონკურენტუნარიანობის ამძღვრებისა და ასორტიმენტის გაფართოების საშუალებას.

მიწათმოქმედების სისტემის განვითარების შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა მოისმინა მოხსენება “მიწათმოქმედების სისტემის ჯუმბერ ონიანი.

აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2015 წლის 29 მაისს განვითარების შესახებ”. მომხსენებელი აკადემიოსი

აღინიშნა, რომ მიწათმოქმედების განვითარების მთელი ისტორია ხუთ სისტემას მოიცავს:

ახოიანი ანუ ცეცხლოვანი სისტემა. ე.ი. პირველყოფილი პრიმიტიული მიწათმოქმედება, რომელიც ხორციელდება ტყე-ბუჩქნარების გაჩეხვით და გადაწვით. გადაწვის შედეგად მიღებული ნაცარი სასუქის მოვალეობას ასრულებდა. ასეთნაირად

მომზადებული ნაკვეთი, პრიმიტიული იარაღებით იჩიქნებოდა და თესვდნენ მათთვის სასურველ კულტურას. თესვებს აგრძელებდნენ მანამდე, სანამდეც ამ მიწას მათთვის დამაკმაყოფილებელი მოსავლის მიღება შეეძლო. შემდგომ პერიოდში ახალ საახოვე ნაკვეთს აღნიშნული წესით ითვისებდნენ და ა.შ. შემდგომ პერიოდებში პირველად

ათვისებულ ახლებს ითვისებდნენ და მათგან სამყოფ მოსავალს ღებულობდნენ, რამაც დასაბამი მისცა მიწათმოქმედების ნასვენთან სისტემას.

მიწათმოქმედების ნასვენთან სისტემა. ამ სისტემის განხორციელება იწყებოდა იმ ნიადაგების დამუშავებით, რომლებიც მეტ მოსავალს იძლეოდნენ. შემდგომში აღნიშნული სისტემა მიტოვებითი სისტემის ფორმას ღებულობდა, სადაც ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენა სხვადასხვა სახეობის მცენარეთა ზემოქმედებით ხდებოდა, რასაც დაახლოებით 2-3 ათეული წელი სჭირდებოდა.

მოსახლეობის ზრდამ შეუძლებელი გახადა ნიადაგების რამოდენიმე ათეული წლით დასვენება. ნაკვეთების დასვენების ვადის ერთ-ორ წლამდე შემცირებამ, ნიადაგების ნაყოფიერების შემცირება განაპირობა. ამ გარემოებამ მიწათმოქმედნი აიძულა ეზრუნათ ისეთი ღონისძიებების შემუშავებისათვის, რომლებიც არ შეამცირებდნენ ნიადაგების ნაყოფიერებას. ასეთ აგროღონისძიებად მეცნიერებმა ანეულიანი სისტემა წამოაყენეს.

ანეულიანი სისტემა. მიწათმოქმედებაში ანეულიანი სისტემის შემოღების აუცილებლობას აქტიური ჰუმუსის აღდგენაში ხედავდნენ. აქტიური ჰუმუსით ნიადაგის გამდიდრება ორი გზით ჰქონდათ წარმოდგენილი. პირველი – ნიადაგში არსებული ორგანული ნივთიერების გააქტიურებით, რასაც სისტემატიური დამუშავებით აღწევდნენ და მეორე – ორგანული ნივთიერების შეტანით. ნიადაგების სისტემატიური დამუშავებით ძლიერდება აეროზული პროცესები, ხოლო აგრონომიულად სრულფასოვანი სტრუქტურული შედგენილობა უარესდება, რაც თავისთავად განაპირობებდა ჰუმუსის ინტენსიურ დაშლას, რასაც ვერ ანახლავრებდა ორგანული ნივთიერების შეტანა, საანეულო სისტემის წარმოება ნიადაგის ნაყოფიერებას ამცირებდა, რაც თავისთავად მოსავლიანობის კლებას განაპირობებდა. ამრიგად, საანეულო სამმინდვრისანი-მონოკულტურული სისტემა ერთგვარად ჩიხში მოექცა. იგი ვერ უზრუნველყოფდა საბაზრო მოთხოვნილებას, რის გამოც დღის წესრიგში დადგა საანეულო მინდვრის აგროკულტურებით შეცვლა და მინდვრთა რაოდენობის ზრდა. მინდვრთან და აგროკულტურათა რაოდენობრივი ზრდა თავისთავად მოასწავებდა ნაყოფცვლითი სისტემის შემოღებას. ნაყოფცვლითი სისტემის საფუძველია ისეთი აგროკულტურების მორიგეობა, რომლებიც საკვები ელემენტების განსხვავებულ რაოდენობას მოითხოვენ.

ნაყოფცვლითი სისტემა აგრონომიული მეცნიერების უდიდეს მიღწევას წარმოადგენდა. იგი მიზნად ისახავდა ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენას და ხარისხიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფას. ნაყოფცვლითი სისტემის ბაზაზე წარმოიშვა სხვადასხვაგვარი მრავალმინდვრისანი თესლბრუნვები – გარემო პირობებისა და სოფლის მეურნეობის

მიმართულებათა გათვალისწინებით. მიწათმოქმედების ამ სისტემაში სათანადოდ ვერ აამაღლა ნიადაგების ნაყოფიერება, რამაც თავისთავად განაპირობა ნაყოფთ ცვლის სისტემაში მრავალწლოვანი ბალახების ხვედრითი წილის თანდათანობითი ზრდა, რამაც მყარი საფუძველი შექმნა მიწათმოქმედების ნათესბალახთან სისტემაზე გადასვლისთვის.

ნათესბალახიანი სისტემა. თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების პირობებში აკად. ვ.რ. ვილიამსის ნათესბალახიანი სისტემა წარმოადგენს სოფლის მეურნეობის პრობლემათა გადაჭრის ყველაზე სრულყოფილ სისტემას. მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემა გამომდინარეობს ნიადაგწარმოქმნის (ხელოვნური დაკორდების), მიწათმოქმედების ნასვენთან, ანეულიანი და ნაყოფცვლითი სისტემის მეცნიერული ანალიზიდან, სადაც წამყვანი როლი მრავალწლოვან ბალახებს ეკუთვნის. მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემა აერთიანებს ნიადაგების დამუშავების, ნათესბალახიანი მინდვრებისა და საკვები თესლბრუნვების, მინერალური და ორგანული სასუქების გამოყენების, ნიადაგების ფიზიკურ და წყლიერთვისებათა რეგულირების, მინდორდამცავი ტყის ზოლების გაშენებისა და გადაადგილების სისტემებს. მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემა ნიადაგების ნაყოფიერებას ზრდის, რაც მეცნიერულად დასაბუთებული სრულყოფილი სისტემაა.

მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემა წარმატებით უნდა გამოვიყენოთ მევენახეობაში და მეხილეობაში. ვაზის და ხეხილოვანი კულტურების რიგთაშორისებში უნდა ითვსებოდეს ისეთი ბალახები, რომლებიც ვაზისა და ხეხილოვანი კულტურების მიერ გამოყოფილ და მათთვის არასასურველ ორგანულ ნივთიერებებს შეითვისებენ და თავიანთი ორგანიზმის საშენ მასალად გამოიყენებენ, ხოლო ამ უკანასკნელთა მიერ გამოყოფილი ორგანული ნივთიერებები უნდა ასტიმულირებდნენ ვაზისა და ხეხილოვანი კულტურების ზრდა-განვითარებას. ასეთ ბალახების სისტემატიური თესვა ვაზისა და ხეხილოვანი კულტურების რიგთაშორისებში ზრდის ნიადაგების ნაყოფიერებას და მოსავლიანობას, ზღუდავს ქლოროვან დაავადებას, სიდამპლეების განვითარებას და თავიდან აგვაცილებს ნიადაგის მოვლას, ე.ი. ეს აგროღონისძიება სრულყოფილად ასრულებს ნაყოფცვლის მაგიერობას და იგი ნავენახარ და ნაბაღარ ნიადაგებზე, მათ შეუსვენებლად იმავე კულტურების კვლავწარმოების სრულ გარანტიას იძლევა.

ვაზის ნერგის წარმოების არსებული მდგომარეობისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 29 მაისს მოისმინა მოხსენება “ვაზის ნერგის წარმოების არსებული მდგომარეობისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ”. მომხსენებელი: აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი.

მევენახეობა-მელვინეობის პრიორიტეტულობა ქვეყნის ეკონომიკაში უახლოესი წარსულის (1970-1990 წწ) რეალობამ დაადასტურა, რაც ვაზისა და ღვინის შესახებ საქართველოს კანონითაც იქნა განმტკიცებული (1998, 2004, 2010წწ).

აღნიშნულ პერიოდში მევენახეობის წილად მოდიოდა სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის 18-20%; მელვინეობიდან მიღებული შემოსავალი კვების მრეწველობის პროდუქციაში 15-16% შეადგენდა; საგრძნობი იყო ამ დარგის წილი (1/4-1/5) ქვეყნის ბიუჯეტის ფორმირებაში, რაც დარგის ეკონომიკურ პოტენციალზე მიგვანიშნებს და ასევე მისი სამომავლო განვითარების ორიენტირად უნდა იქნას გამოყენებული.

აღნიშნული პერიოდის ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემები ასეთია: ვენახის ფართობმა 144,0 ათას ჰექტარს მიაღწია (1982წ), შემდეგ იგი 125,0-117,0 ათას ჰა-მდე დასტაბილურდა; ყოველწიურად საშუალოდ იწარმოებოდა 600-700 ათას ტონაზე მეტი ყურძენი; მზადდებოდა 28-30 მლნ დეკალიტრი ღვინო;

ქვეყანაში ფუნქციონირებდა 20 სპეციალიზებული საწარმო სასათბურე მეურნეობა-კომპლექსი; ყოველწიურად იწარმოებოდა 18-20 მლნ ნამყენი ნერგი; ფილოქსერაგამძლე ვაზის სადედეს ეკავა 1500 ჰა ფართობი; 500 ჰა-ზე მეტ ფართობზე გაშენებული იყო ძირითადი სამრეწველო (აბორიგენული უნიკალური და ინტროდუცირებული) ვაზის ჯიშებისა და მათი კლონების სანამყენეთა სადედეები. ეფექტური იყო მეცნიერების თანამშრომლობა წარმოებასთან. მეცნიერება რეალურად იქნა წარმმართველ ძალად.

2007 წლამდე, საქართველოს მეზღვრების, მევენახეობისა და მელვინეობის სისტემაში ფუნქციონირებდა სამი ექსპერიმენტული საწარმო მეურნეობა (შალაურში, კისისხევში, სვირში), სადაც ყოველწიურად იწარმოებოდა 3-4 მლნ. ცალი ნამყენი; სამრეწველო ჯიშების მაღალმოსავლიანი კლონები გაშენებული იყო 500 ჰა ფართობზე; ინსტიტუტის სელექციონერი მეცნიერების მიერ გამოყვანილია ახალი, ქართული-ამერიკული საძირე ჰიბრიდები (ე.წ. ბიოტიპები) გაშენებული და დაცული იყო 10 ჰა ფართობზე; რომელიც დღეს განადგურებულია. მეტად სამწუხაროდ, კახეთში -მევენახეობა-მელვინეობის ფლაგმან ქვეყანაში დღეს უკვე სამეცნიერო-კვლევითი ობიექტი აღარ არსებობს... იგი გაიყიდა, კანონის უხეში დარღვევით!..

მსგავსი დარღვევების შედეგია საერთოდ აგრარულ მეცნიერებაში და კერძოდ ვაზის ნერგის წარმოების სფეროში შექმნილი მდგომარეობაც; განადგურებულია ზემოთ მოხსენიებული საწარმო მეურნეობის სამეურნეო და ექსპერიმენტალური ბაზები, სასათბურე და საწარმო კომპლექსები, ფილოქსერაგამძლე საძირეთა სადედეები, ქვეყანაში გარკვეული პერიოდით შეწყდა

ვაზის ნამყენი ნერგის ორგანიზებული წარმოება. იგი ერთპიროვნული, ოჯახური ნერგის მწარმოებლების ანაზარა დარგია, რომლებიც მოკლებულია სტანდარტული ნერგის წარმოების ელემენტარულ პირობებს: საძირე მასალას მოიპოვებენ და ამზადებენ მიტოვებული ვენახებიდან, გასამრავლებელი ჯიშის სამყნობი მასალაც არა აპრობირებული ვენახებიდან მზადდება. არ გააჩნიათ სასათბურე შენობები, საკმარისი მიწის ნაკვეთი საწარმოსათვის. ნერგი მარტივი წესით - ცივად, გამოყავთ (თითოეულ ოჯახს 10-20-30 ათასი ნერგი), რითაც სასურველ შედეგს ვერ აღწევენ; ეს პროცესი დღემდე გრძელდება; გურჯაანის (სოფ. ვეჯინი), თელავის (კონდოლი, კისისხევი), კისისხევის, და სხვაგან, მოკლებული არიან მეცნიერულ რეკომენდაციებს; არავინ ზრუნავს მათი კოოპერირების ფორმით მუშაობის პირობების შექმნაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში შექმნილი რთული მდგომარეობის მიუხედავად ვენახის გაშენების სურვილი და პროცესი არ შეწყვეტილა. სამრეწველო ვენახების გაშენების აუცილებლობა ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარეობს.

გაიზარდა მოთხოვნილება ნამყენ ნერგზე, რომლის დაკმაყოფილება ქვეყანაში წარმოებული ნერგით შეუძლებელი იყო. ერთეულ შემთხვევაში განხორციელდა საქართველოში აპრობირებული ევროპული ჯიშების (კაბერნე, სოვინიონი, მერიდო, შარდონე..) ნერგების შემოტანა და გაშენება “წინანდლის”, მიკრო ზონაში 10 ერთეულ ჰექტარზე (ნინო ანანიაშვილის ვენახი) ერთეულ შემთხვევაში ვენახი გაშენდა (ყვარლის რაიონში) უზრალო რქით საკუთარ ფესვზე, რომელიც დროულად იქნა უარყოფილი მეცნიერების მიერ. იგი უარყოფილია ვაზისა და ღვინის შესახებ კანონით (1998წ. 2004 წ.) „საქართველოში ვენახი უნდა გაშენდეს მხოლოდ ნამყენი ნერგით“ (მუხლი..), რამაც ხელი შეუწყო ქვეყანაში ვაზის ნამყენი ნერგის სამრეწველო მასშტაბით გამოყვანის გააქტიურებას. გასული საუკუნის ბოლოდან, თელავის რაიონში კომპანია „თელავის ღვინის ქარხნის“ ბაზაზე შეიქმნა სასათბურე-საწარმო მეურნეობის 0.5 მილიონი ნერგის გამოყვანის წარმადობით. გაშენდა ფილოქსერა გამძლე საძირეთა სადედე 10 ჰექტარ ფართობზე. საგარეჯოს რაიონში, სოფ. ჩაილურში ნერგის წარმოების ბაზა დღემდე შეინარჩუნა და წარმატებით მუშაობს ზურაბ მჭედლიშვილის მზრუნველობით. მიმდინარე წელს დაიმყნო 1.6 მილიონი ნამყენი და დაირგო საწარმოში. მეურნეობას არ გააჩნია საძირეთა სადედე, რის გამოც საძირე მასალა ჩამოაქვს უკრაინიდან და მოლდოვეთიდან, არ აქვს აგრეთვე საკმარისი მიწის ფართობი ნაკვეთის მოსაწყობად საჭიროებს მხარდაჭერას სახელმწიფოს მხრიდან.

სოფელ კონდოლში (თელავის რაიონში) ფუნქციონირებს საწარმო კომპლექსი “ბესინი“ ფლობს 1,5 2.0

მილიონ ნამყენის გამოყვანის ბაზას. გაშენებული აქვს ფილოქსერაგამლე საძირეთა სადედე 8.0 ჰა ფართობზე და კახეთის სამრეწველო ჯიშების და საქართველოს-თვის რეკომენდირებული ევროპული ჯიშების სანამყენეთა სადედე ნაკვეთი.

თელავის რაიონში ფუნქციონირებს აგრეთვე კომპანია „კახელები“ 200-300 ათასი ნამყენის გამოყვანის წარმადობით.

შიდა ქართლში, მუხრანის მაღლის ზონაში ფუნქციონირებს სანერგე მეურნეობა „ბაგრატიონი“ ყოველწლიურად აწარმოებს 1.0 მილიონ ნამყენ ნერგს, ფლობს 7-8 ჰა ფილოქსერა გამლე საძირეთა სადედეს და ქართლის სამრეწველო ვაზის ჯიშების სანამყენეთა სადედეს.

სოფელ მუხრანში ვაზის ნერგს აწარმოებს აგრეთვე ოჯახური „მპს“ - ჩერქეზიშვილების ოჯახი 0,5 მლ ნამყენის წარმადობით; მწვანე ნერგის გამოყვანის ბაზით. საძირე მასალა შემოაქვთ უკრაინიდან და მოლდავეთიდან.

2008 წლიდან, მცხეთის რაიონის საგურამოს მიკროზონაში, სოფ. ჯილაურაში, ბიძინა ივანიშვილის საქველმოქმედო პროექტით, შეიქმნა ვაზისა და ხეხილის ჯანსაღი, უვირუსო, სერტიფიცირებული ნერგის წარმოების საბაზისო სანერგე, რომლის დანიშნულებაა ქვეყნის ფარგლებში აღნიშნული კატეგორიის სანერგეებისათვის მოსაწყობად ჯანსაღი -უვირუსო ნერგებითა და სამყნობი მასალით (საძირე სანამყენე) უზრუნველყოფა.

ცენტრი უზრუნველყოფილია, კარგად მოწყობილი ტექნიკური ბაზით; სასტრატეგიკაციო და სამაცივრე განყოფილებებით, მექანიზებული მყნობით, პარაფინატორითა და სხვ. გაშენებულია ფილოქსერაგამლე უვირუსო საძირეთა სადედე - 4,5ჰა; სამრეწველო ვაზის ჯიშების უვირუსო სანამყენეთა სადედე, 30 -ზე მეტი დასახელების 3,0 ჰა; გაშენებულია უცხოეთის ვაზის ჯიშები, მ.შ. ტექნიკური და სასუფრე ვაზის ჯიშები, 250 დასახელება.

პროექტის პირველი ეტაპი წარმატებით განხორციელდა. მომდევნო ეტაპზე გათვალისწინებულია საბაზისო სანერგეების მოწყობა, რეგიონებში - სამრეწველო სანერგეების მოწყობის ხელშეწყობა. კერძოდ: კახეთში - 2; მ.შ. გარე კახეთში -1, ქვემო ქართლში -1, შიდა ქართლში -1, იმერეთში -1, მიკრო სანერგეები უნდა მოეწყოს: რაჭაში -1, ლეჩხუმში -1, გურიაში -1, აჭარაში -1, სამეგრელოში -1.

გასული წლის შედეგებმა და მიმდინარე წლის მყნობის სეზონის ჩატარებამ გვიჩვენა, რომ უპირველესი პრობლემა, რომელსაც ნერგის მწარმოებლები განიცდიან ფილოქსერაგამლე ვაზის საძირეების მწვავე დეფიციტს. როგორც აღვნიშნეთ, ამჟამად ქვეყანაში 20,0 ჰა-მდე საძირეთა სადედე არ გაგვაჩნია; მაშინ როდესაც მოცემულ ეტაპზე 2003ა-მდეა საჭირო.

გასათვალისწინებელია, რომ ქვეყანაში გააქტიურდა ვენახების რეაბილიტაციის პროცესი; მატულობს ვენახების გაშენების მასშტაბი; სავარაუდო ინფორმაციაზე დაყრდნობით ახალი ვენახების გასაშენებლად და ახალშენის სარემონტოდ (მოცდენილი ადგილების შესასვებად) საჭიროა 4-5 მლნ ძირი ნერგი, რისთვისაც საჭიროა თითქმის ორი-ორნახევარჯერ მეტი საძირე

მასალა, რასაც ქვეყანაში სადღეისოდ არსებული რესურსი მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს.

სანერგეებში დაბალია სტანდარტული ნერგის გამოსავლიანობა (30%), რაც განპირობებულია ტექნიკური ბაზის გაუმართავობით, დაბალი აგროტექნოლოგიური ფონით, მეცნიერული სიახლეებისადმი წვდომის შესუსტებით, სამეცნიერო-ტექნიკური ბაზების განადგურებით.

არ ხდება ინდივიდუალური (გლეხური მეურნეობის) მენერგეების სათანადო შეფასება; ეს სფერო, არც აღირიცხება და არც არის რეგისტრირებული, რითაც ირღვევა ვაზისა და ღვინის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნა რეგისტრაციისა და აღრიცხვის შესახებ (მუხლი 33³), არც რეგისტრირებული მეწარმეები („მპს“-ები...) ექვემდებარებიან კანონის მოთხოვნებსა და მარეგულირებელ ორგანოებს არ აწვდიან ცნობებს წარმოებული და რეალიზებული პროდუქტის (ნერგის, სამყნობი მასალის,...) რაოდენობის შესახებ, რაც არ იძლევა საშუალებას ქვეყანაში განსაზღვრული იქნას ნერგის წარმოებაზე მოთხოვნილება და განვითარების დონე; დეფიციტი კი საგრძნობია.

მისასალმებელია, რომ ქვეყანაში ვენახების გაშენების მასშტაბი საგრძნობლად იზრდება, რასაც ნერგის წარმოების ბაზა ვერ უზრუნველყოფს; არადაამაკმაყოფილებელია წარმოებული ნერგის ხარისხიც. ამიტომაცაა ხაზგასმული დარგის განვითარების კონცეფციასა და სტრატეგიაში ჯანსაღი სერტიფიცირებული ნამყენი ნერგით უზრუნველყოფის პრიორიტეტულობა, რაც დარგის განვითარების დონის და ეფექტურობის განმსაზღვრელია.

ქვეყანაში უვირუსო, ჯანსაღი სერტიფიცირებული ნერგის წარმოების საბაზისო სანერგის შექმნის შესახებ ხაზგასმით აღვნიშნეთ; განსახორციელებელია პროექტის დამაგვირგვინებელი ეტაპი, - საბაზისო სანერგის ფილიალების შექმნა მევენახეობის ინტენსიური ტიპის სამრეწველო მასშტაბის სანერგეების მოწყობა.

მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების თანამედროვე ეტაპებზე, დარგში შექმნილი აქტუალური პრობლემების წარმატებით განსახორციელებლად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მეცნიერულად დასაბუთებული, ორგანიზაციული და ეკონომიკური ღონისძიებების განხორციელება: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან განხილული იქნას წინადადება ვენახის (ან მრავალწლიანი კულტურების) ინვენტარიზაცია - პასპორტიზაციის შესახებ, სრული, კლასიკური პროგრამით, რომელიც მოიცავს ინფორმაციას, ფართობის, ჯიშობრივი შედგენილობის, ნარგავის ბიოლოგიური მდგომარეობის - კატეგორიას, აგროტექნოლოგიური ფონის, გაშენების სქემის, გამოყენებული საძირის, გასხვლა-ფორმირების შესახებ და სხვ., რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნება ნერგის მოთხოვნილების განსაზღვრა, სრულყოფილი ინფორმაციის მიღება; მიღებული იქნას ქვეყანაში მრავალწლოვანი კულტურების (ვაზი, ხეხილი, ციტრუსი, ჩაი) სარგავი მასალით უზრუნველყოფის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა; სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინაშე დაისვას საკითხი მრავალწლიანი კულტურების ჯიშთა გამოც-

დის სამსახურის აღდგენის შესახებ; უმოკლეს დროში (მიმდინარე წლის ბოლომდე) განხორციელდეს ვაზის ნერგის წარმოების რეგისტრაცია, წარმოებული და რეალიზებული ნერგის დეკლარირება (განაცხადი), ვაზისა და ღვინის საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად; დაჩქარებული წესით ჩატარდეს ქვეყანაში არსებული ფილოქსერაგამძლე საძირეთა და აპრობირებულ სანამყენეთა სადედეების აღრიცხვა; შემუშავებული იქნას ფილოქსერაგამძლე საძირეთა სორტიმენტის განახლებული პროგრამა და განახლებული სორტიმენტის გაშენების სამწლიანი გეგმა, რეგიონების მიხედვით; გადაუდებელია ვაზის (ერთწლიანი სტანდარტული ნერგის, მწვანე, მოზარდი ნამყენი ნერგის, სერტიფიცირებული ნერგის, ფილოქსერაგამძლე ვაზის დაფესვიანებული ნერგის,...) ქართული სტანდარტის შემუშავება და მიღება, საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნათა გათვალისწინებით; ამჟამად, საქართველოში სტანდარტი არ მოქმედებს; საქართველოს სოფლის

მეურნეობის სამინისტროსთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობა-მეღვინეობის საკოორდინაციო ჯგუფის სამეცნიერო ჯგუფის ძალების გამოყენებით (2-3 თანამშრომელი) შეიქმნას ვაზის (ან ვაზისა და ხეხილის) სარგავი მასალის კვლევისა და დანერგვის პროექტი; წინადადება: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობა-მეღვინეობის საკოორდინაციო ჯგუფის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მევენახეობა-მეღვინეობის სააგენტოს მევენახე სპეციალისტთა ერთობლივი პროგრამით შემუშავდება და განხორციელდება კონსულტირების პროგრამა მენერგეთა დასახმარებლად.; მიმდინარე წლის ბოლომდე მომზადდება გამოსაცემად - „რეკომენდაციები - ვაზის ნამყენი ნერგის წარმოების ინტენსიური ტექნოლოგიები“; დაწესდეს წელიწადში ორჯერ სანერგეების დათვალიერების დღე (მარტი, სექტემბერი).

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის 2014 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ანგარიში

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2015 წლის 25 ივნისს მოისმინა მოხსენება „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის 2014 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და 2015 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ.“ მომხსენებელი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი როლანდ კოპალიანი.

აღინიშნა, რომ საქართველოს სუბტროპიკები დედამიწის სუბტროპიკული სარტყლის უკიდურეს ჩრდილო საზღვარზე მდებარეობს და ამდენად უმეტესი ინტროდუცირებული სუბტროპიკული კულტურებისათვის აქ მკაცრი აგროკლიმატური პირობებია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თავის დროზე, საქართველოში დაარსდა რიგი სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები, რომელთაც დაევაღათ გამოენახათ სუბტროპიკული კულტურების მოთხოვნილებების, საქართველოს სუბტროპიკული აგროკლიმატურ პირობებთან შესაბამისობაში მოყვანის შესაძლებლობები, ტექნიკური, სელექციური და სხვა ღონისძიებების გამოყენებით.

ამ მიმართულებით უადრესად ეფექტური სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები იქნა ჩატარებული, მათ შორის საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში, რომელიც დაარსდა 1952 წელს ქ. ქუთაისში სას. სამ. ინსტიტუტის სახელწოდებით და 1959 წელს ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით გადატანილი იქნა ქ. სოხუმში და ეწოდა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი.

სწორედ ამ ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფის მონაწილეობით შეიქმნა აკად. შალვა კერესელიძის ხელმძღვანელობით და წარმოებაში დაინერგა

მსოფლიოში პირველი ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“. სწორედ ამ ინსტიტუტის პროფესორების და ცნობილი მეცნიერების ფ. მამფორიას, შ. სურგულაძის და ნ. ქარქაშაძის მიერ მიღწეული იქნა მნიშვნელოვანი პრაქტიკული შედეგები – გამოყვანილი იქნა მაღალპროდუქტიული, დაავადებებისადმი გამძლე ციტრუსოვანთა ჯიშები, რომელთაგან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ დაავადება მალსეკოსადმი გამძლე ლიმონის ჯიში „დიოსკურია“. ამ ჯიშის გამოყვანით გადაწყდა ლიმონის მალსეკოგამძლეობის მსოფლიო პრობლემა.

მოგესხენებათ აფხაზეთში ცნობილი მოვლენების შემდეგ სსმი დაბრუნდა ქუთაისში და გააგრძელა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები სსმსუ-ის სტატუსით – 2010 წლამდე. 2010 წლის 16 ნოემბრიდან ის მიაერთეს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს და ამჟამად ფუნქციონირებს აგრარული ფაკულტეტის სახით.

ამჟამად აგრარულ ფაკულტეტზე მოქმედებს 5 დეპარტამენტი:

1. აგრონომიულ მეცნიერებათა დეპარტამენტი
2. სუბტროპიკული კულტურების დეპარტამენტი
3. ლანდშაფტური არქიტექტურის დეპარტამენტი
4. აგროინჟინერიის დეპარტამენტი

5. სუბტროპიკული კულტურების პროდუქტთა ტექნოლოგიის დეპარტამენტი.

აღნიშნული დეპარტამენტების მიერ კვლავ გრძელდება სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები ორი მიმართულებით, ერთი – ფაკულტეტის საბჭოზე განხილული და დამტკიცებული სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების გეგმის მიხედვით და მეორე – საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხაზით მოპოვებული სამეცნიერო გრანტების საფუძველზე.

აგრონომიულ მეცნიერებათა დეპარტამენტში მუშავდებოდა 3 თემა:

1) **აგროეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესება დასავლეთ საქართველოს ალუვიურ და ეწერი ტიპის ნიადაგებზე..**

კვლევის მიზანი: სამეგრელოს რეგიონის ალუვიურ ჭარბტენიან ნიადაგებზე დაშრობითი ღონისძიებების გავლენა ნიადაგის აგროეკოლოგიურ გარემოზე.

შესწავლილი იქნა სამეგრელოსა და იმერეთის რეგიონში (ნოსირი და მესხეთი-გეგუთი) დაბალნაყოფიერი ნიადაგები, მათი მექანიკური მინერალოგიური შედგენილობა და თვისებები, ეწერლებიანი ნიადაგების აგროეკოლოგიური გარემო. მიმდინარეობს კვლევითი სამუშაოები მათზე ზეთისხილის კულტურის სამრეწველო პლანტაციების გასაშენებლად.

კოლხეთის დაბლობზე ნოსირის სასწავლო მეურნეობის ახალგაზრდა თხილის პლანტაციის ნაკვეთზე ჩატარდა ეროზიის შესაჩერებელი და ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესებისათვის ცდები. მიმდინარეობს მუშაობა ალუვიური ნიადაგების ნაყოფიერების ასამაღლებლად.

2). **შორეული ჰიბრიდიზაციის პოტენციური შესაძლებლობანი ციტრუსოვანთა სელექციაში.**

მანდარინის ყინვაგამძლეობის, პროდუქტიულობისა და სხვა სამეურნეო და აგრობიოლოგიური მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით შესწავლილ იქნა კულტურის მოვლა-მოყვანის ექსტრემალურ პირობებში გამორჩეული 4 პერსპექტიული კლონის ზრდა-განვითარების, ყლორტწარმოქმნის, შეფოთვლის ინტენსიობის, ნაყოფმსხმოირობის მაჩვენებლები.

შესწავლილი იქნა ციტრუსოვანთა ნუცელარული ნათესარების ცვალებადობის სიხშირე და სპექტრი. შეჯვარებაში ახალი კომბინაციების (მანდარინი ფართოფოთლიანი უნშიუს კლონი №2, ქართული ლიმონის კლონი №2, ტრიფოლიატა ადრემსხმოიარე, ციტრუს იჩანგენხისი) გამოყენების შემთხვევაში მიღებული იქნა ჰიბრიდული ბუნების ნუცელარული ნათესარები.

3). **დასავლეთ საქართველოში გავრცელებული კულტურების მავნებელ დაავადებების შესწავლა და მათ წინააღმდეგ ღონისძიებების დამუშავება.**

შესწავლილი იქნა ვაზის, ზეთისხილის,

დაფნისა და ბოსტნეული კულტურების მავნებელი დაავადებები და შემუშავებული იქნა მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები.

კვლევის შედეგად გამოვლენილი იქნა ვაზის ჭრაქის გამომწვევი სოკოს (ლასმოპარა ვიტრიცოლა)-ას მავნეობა, იგი აავადებს ვაზის ყველა ორგანოს: ფოთლებს, ყლორტებს, ყვავილეებს და ნაყოფებს. ვაზის ჭრაქის წინააღმდეგ გამოყენებული გვქონდა, ბორდოს სითხის შემცველი ახალი პრეპარატები (მელოდიდუო 0.25%, მიკალ-ფლეში 0.3%, პროფაილერი 0.3%, რიდონეტი მც-72 0.4%, უნივერსალი 0.3%, ლიდერი 0.2%, ანტრაკოლი 0.3%) გამოცდილი პრეპარატებიდან მაღალი ეფექტურობით გამოირჩეოდა მიკალ-ფლეში, პროფაილერი, მელოდი-დუო, უნივერსალი და რიდონეტიმც-72.

სახელმწიფო გრანტით დაფინანსებული (შიდა საუნივერსიტეტო გრანტი)

1). **სამეგრელოს ჭარბტენიან ალუვიურ ნიადაგებზე ახალგაზრდა თხილის პლანტაციის აგროეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესება – ნოსირის სასწავლო მეურნეობაში.**

1. ნაკვეთზე შეტანილი იქნა ამონიუმის გვარჯილა თხილის გამოკვების მიზნით. რამაც ხელი შეუწყო მცენარის ზრდა- განვითარებას, თხილის ნაყოფების ზრდასა და მომწიფებას, მოსავლის რაოდენობის გადიდებას. მიმდინარე წელს თხილის მოსავალი სხვა წლებთან შედარებით დაბალია, რაც გამოწვეულია თხილის ყვავილობის დროს არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობებით. (ყინვები იანვარ- თებერვლის თვეში.)

2). **“ზეთისხილისათვის აგროტექნოლოგიის შემუშავება და დემონსტრირება ეწერი ნიადაგებზე (შ. რუსთაველის სამეცნიერო ფონდი)**

პროექტის არსი მდგომარეობს სამეგრელოსა და იმერეთის დაბალნაყოფიერი ნიადაგების მეცნიერულ კვლევაში, მათზე ზეთისხილის კულტურის დარაიონებაში და სამრეწველო პლანტაციების გასაშენებლად ნერგების გამოყვანის ტექნოლოგიების დამუშავებაში.

დეპარტამენტში დამუშავებულია 5 სახელმძღვანელო და 19 სამეცნიერო ნაშრომი.

სუბტროპიკული კულტურების დეპარტამენტში მუშავდებოდა 1 თემა ქვეთემების მიხედვით.

1) **სუბტროპიკული ზონის ზოგიერთი კულტურის აგროტექნოლოგიების სრულყოფის გზები.**

ამ მიზნით დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოებში, სამეცნიერო შრომებსა და კონფერენციების მასალებში მეცნიერულად დასაბუთებულია ჩატარებული სამეცნიერო კვლევის შედეგები. კონკრეტულად: დამუშავებულ იქნა სუბტროპიკულ კულტურათა მოვლა-მოყვანის

პერსპექტიული ტექნოლოგიები; მიტოვებულ ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციისათვის გასხვლის ოპტიმალური წესები; გლობალური დათბობის უარყოფითი შედეგებიდან გამომდინარე საქართველოს განსხვავებულ ნიადაგურ კლიმატური პირობებისათვის აგროტექნიკურ ღონისძიებათა ეფექტური ხერხები.

სუბტროპიკულ ხეხილოვნებში შესწავლილი და შემოთავაზებული იქნა სუბტროპიკული ხურმის მოვლა-მოყვანის პერსპექტიული ტექნოლოგიები; თხილის და ფეიჭოას კულტურების მოსავლიანობის ხასიათი და პერსპექტივა აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში; სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების სამკურნალო თვისებები და პრაქტიკული რჩევები.

სუბტროპიკული ტექნიკური კულტურებიდან შესწავლილ იქნა კეთილშობილი დაფნის ზრდა-განვითარებისა და ეთერზეთის შემცველობის ხასიათი ოროგრაფიული პირობების მიხედვით; დაფნის ზრდა-განვითარების თავისებურება და დინამიკა კლიმატური პირობების ცვლილებებთან დაკავშირებით; კვების პროდუქტებში ბიოაქტიური დანამატების სახით დაფნის ეთერზეთის გამოყენების შედეგები; დაფნის სხვადასხვა მაღალზეთოვან ფორმებში ეთერზეთის დაგროვების თავისებურებანი; მსხვილყვავილა ჟასმინის კულტურის რეაბილიტაციის საკითხები საქართველოში, ეთერზეთოვანი ვარდის ჯიშები საქართველოს სხვადასხვა ეკოლოგიურ რაიონებში.

აღნიშნულის ირგვლივ გამოქვეყნებულია 1 სახელმძღვანელო და 6 სამეცნიერო სტატია.

ლანდშაფტური არქიტექტურის დეპარტამენტში მუშავდებოდა 2 თემა.

1) სუბტროპიკული ზონის გარემოს ლანდშაფტურ-ეკოლოგიური შეფასება და რეაბილიტაციის ღონისძიებები.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ქ. ქუთაისის საგარეუბნო ლანდშაფტურ-რეკრეაციული რესურსების პოტენციალის კვლევა, კერძოდ:

არსებული ტყის მასივები, ტყეპარკების და კორომების ნარგაობის სახით, რომლებიც განთავსებულია ქალაქიდან 30 კმ-მდე მანძილზე, შედის ქალაქების მწვანე ზონების შემადგენლობაში. საქართველოს ქალაქების მწვანე ზონების ტყეებით უზრუნველყოფა კი მეტად არათანაბარია, და შესაბამისად, ერთ მცხოვრებზე გამწვანებული ფართობის რაოდენობაც განსხვავებულია.

2). დეკორაციულ მცენარეთა ზრდა-განვითარების თავისებურებები საქართველოს სხვადასხვა ეკოლოგიურ პირობებში.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა დეკორაციული მერქიანი მცენარეების გარკვეული ასორტიმენტის, საკარმიდამო ნაკვეთების გამწვანებაში გამოსაყენებელი ზოგიერთი ხეხილოვანი და კენკროვანი მცენარეების ზრდა-განვითარების,

ყვავილობის, ნაყოფმსხმოიარობის კვლევა სხვადასხვა ეკოლოგიურ პირობებში.

იაპონური კამელიას სხვადასხვა ჯიშების მწვანე კალმებით გამრავლების საკითხების შესწავლის შედეგად დადგენილ იქნა, რომ კალმების დაფესვიანება დამოკიდებულია სუბსტრატის ხასიათზე, დაკალმების დროზე, კალმების სიგრძეზე, მისი დამზადების ტექნიკაზე, კლიმატურ პირობებზე, მცენარის ჯიშურ თავისებურებებზე და სხვა. დასაფესვიანებლად საუკეთესო შედეგს იძლევა წითელმიწისა და ფიჭვის მიწის (2:1) ნაზავი (75 %), აგრეთვე სუფთა წითელმიწა (69%).

შესწავლილ იქნა თესლიდან მიღებული გერმერას ზრდა-განვითარების თავისებურებები ღია და დახურულ გრუნტში, შესწავლილ იქნა აქტინიდიის (კივის) კულტურის მოსავლიანობა და ეკონომიკური ეფექტურობა დასავლეთ საქართველოს რამოდენიმე რაიონში, დადგენილ იქნა, რომ აქტინიდია მსხმოიარობაში შედის მესამე, მეოთხე წელს, სრული მსხმოიარობა კი იწყება მეშვიდე წლიდან და გრძელდება ორმოც წლამდე.

სახელმწიფო გრანტით დაფინანსებული (შიდა საუნივერსიტეტო გრანტი)

1. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კორპუსების მიმდებარე ტერიტორიების ლანდშაფტურ-ეკოლოგიური შესწავლა და რეკონსტრუქციის ღონისძიებები

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის 3 ობიექტის სასწავლო კორპუსების მიმდებარე ტერიტორიების ლანდშაფტურ-ეკოლოგიური შესწავლა და დაისახა რეკონსტრუქციის ღონისძიებები, ესენია: 1. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდობის გამზირზე მდებარე საერთო საცხოვრებლის და სპორტული კომპლექსის კორპუსების მიმდებარე ტერიტორია; 2. ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე ყოფილი სუბტროპიკული მეურნეობის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორია; 3. შერვაშიძის ქუჩაზე მდებარე აგრარული ფაკულტეტის სასწავლო კორპუსის მიმდებარე ტერიტორია.

გამოქვეყნებულია 2 სახელმძღვანელო და 14 სამეცნიერო სტატია.

აგროინჟინერიის დეპარტამენტში მუშავდებოდა 1 თემა.

1) საქართველოში მეურნეობრიობის მრავალფორმიანობის პირობებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის პროცესებისათვის თანამედროვე მანქანური ტექნოლოგიების შემუშავება

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს შესრულება მიმდინარეობს ორი მიმართულებით:

1.სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისათვის ინოვაციური მანქანური ტექნოლოგიების შემუშავება შესაბამისი ტექნიკითა და სერვისული უზრუნველყოფით;

2.სასოფლო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვების ეფექტურობის ამაღლება სატრანსპორტო ოპერაციების ორგანიზაციისა და მართვის რაციონალური მეთოდების შემუშავებით.

ინოვაციური მანქანური ტექნოლოგიების მიმართულებით შესწავლილია თანამედროვე ზუსტი მიწათმოქმედების ტექნოლოგიის უზრუნველყოფის მეთოდები და მათი დანერგვის პერსპექტივები საქართველოში სოფლის მეურნეობის მრავალფეროვნების პირობებში ასევე შესწავლილია სასოფლო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვების ეფექტურობის ამაღლების გზები საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით, გადაზიდვის ორგანიზაციისა და მართვის ეფექტური მოდელების შექმნა და მათი პრაქტიკაში რეალიზაცია.

გამოქვეყნებულია 1 მეთოდური მითითება და 4 სამეცნიერო ნაშრომი.

სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგიის დეპარტამენტში მუშავდებოდა 1 თემა ქვეთემების მიხედვით

1) აგრონედლეულის შენახვა-გადამუშავების ახალი ტექნოლოგიური პარამეტრების დადგენა, მზა პროდუქციის ხარისხის განსაზღვრის მეთოდების შემუშავება და ექსპერტიზა..

საკვლევი თემატიკის შესაბამისად განხილულია სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის: ჩაის, თამბაქოს, ხილ-ბოსტნეულის (ხურმის, კიტრის, პომიდორის, ლობიოს, ჩაიოტის, ყურძნის), ლუდისა და ღვინის

ნის გადამუშავების ტექნოლოგიური პარამეტრები, მათი ქიმიური შედგენილობის დადგენისა და კვლევის მეთოდები და მათი აპარატურული უზრუნველყოფა; ჩაის ახალი პროდუქტების შექმნისა და მისი ექსტრაქტების მრავალმხრივი გამოყენების შესაძლებლობები.

შესწავლილი იქნა ლუდის წარმოების პროცესების რეგულირება ჩაის ექსტრაქტების გამოყენებით.

შესწავლილი იქნა ჩაიოტის ანუ მექსიკური კიტრის საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გავრცელების შესაძლებლობა. მცენარის ყველა ორგანოს (ფესვების, ტუბერების, ნაყოფების, ღეროების, ახალგაზრდა ნაზარდების) გამოყენების შესაძლებლობა, აგრეთვე, ჩაიოტის მცენარის ღეროს გადანაჭერისაგან მიღებული წვენისა და ნაყოფების ქიმიური შედგენილობა.

შესწავლილი იქნა თამბაქოს ნედლეულის დაფერმენტების შესაძლებლობა ინერტულ (ანაერობულ) არეში, რისთვისაც გამოყენებული იქნა ნახშირის დიოქსიდი და პოლიეთილენის შესაფუთი მასალა.

შესწავლილი იქნა მწვანე ჩაის ექსტრაქტისა და მწვანე ჩაიდან გამოყოფილი კატეხინური პრეპარატის ანტიმიკრობული აქტივობა და ცხოველურ ქსოვილებზე რეგენერაციის მოქმედების მექანიზმი.

შესწავლილი იქნა ინფრაწითელი სხივების გავლენა ღვინომასალების მიკროფლორაზე. დადგენილი იქნა, რომ ინფრაწითელი სხივების მოქმედება ამცირებს მმარმჟავაბაქტერიების რაოდენობას.

გამოქვეყნებულია 3 სახელმძღვანელო, 17 სამეცნიერო სტატია.

მრგვალი მაგიდა მეთევზეობაში

2015 წლის 3 აპრილს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს ორგანიზებით (სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე, მოადგილე აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი) აკადემიის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა მრგვალი მაგიდა მეთევზეობის პრობლემატურ საკითხებზე. მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს, აკადემიკოსებმა: ნაპოლეონ ქარქაშაძემ, იუზა ვასაძემ, გურამ ტყეშელაშვილმა, თენგიზ ყურაშვილმა, გივი ბადრიშვილმა, ჯემალ გუგუშვილმა, ომარ ქეშელაშვილმა, ჯემალ კაციტაძემ, დოქტორმა ანატოლი გიორგაძემ. მოწვეულმა სტუმრებმა, მეცნიერებათა დოქტორებმა: გიორგი გაგოშიძემ, ამროსი ჭკუასელმა, გიორგი მაძღარაშვილმა, რამაზ კიკვიძემ, ვაჟა ბუნუკურმა, რამაზ ჭანტურიძემ; დოქტორებმა: როინ ბოკუჩავამ, მაია ხუციშვილმა, კობა ნაცვალაძემ, ნანა მაისურაძემ.

მრგვალი მაგიდა მიჰყავდა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს აკადემიკოს ნაპოლეონ ქარქაშაძეს. ძირითადი მომხსენებელი იყო სოფლის მეურნეობის დოქტორი როინ ბოკუჩავა. მან მოკლედ მიმოიხილა საქართველოს მეთევზეობის სიმძლავრეები წარსულში, ისაუბრა თანამედროვე მდგომარეობასა და სამომავლო განვითარების პერსპექტივებზე.

გაიმართა დისკუსია.

გამომსვლელებმა ყურადღება გაამახვილეს კვალიფიციური კადრების ნაკლებობაზე და ახალი ტექნოლოგიების გავრცელებისა და გამოყენების პრობლემებზე მეთევზეობაში.

მრგვალი მაგიდის მუშაობა შეაჯამა აკადემიკოსმა ნაპოლეონ ქარქაშაძემ.



მრგვალი მაგიდის სხდომის მიმდინარეობა
აკადემიის საკონფერენციო დარბაზში

აბრარული კვლევების საერთაშორისო კონსორციუმის (CGIAR) ფონდის საბჭოს მე-13 სხდომა

2015 წლის 27-30 აპრილს ქ. ბოგორში (ინდონეზია) ჩატარდა აბრარული კვლევების საერთაშორისო კონსორციუმის (CGIAR) ფონდის საბჭოს მე-13 სხდომა, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკად. გურამ ალექსიძემ, რომელიც არის ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის კვლევითი ორგანიზაციების (CACAARI) წარმომადგენელი აღნიშნულ საბჭოში.

საბჭოს თავმჯდომარეა მსოფლიო ბანკის ვიცე – პრეზიდენტი, ბატონი რაშელ კეიტი, რომელიც ამავდროულად არის კლიმატის ცვლილებების საპატიო ელჩი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. საბჭოს შემადგენლობაში შედიან: ამერიკის, კანადის, მექსიკის, დიდი ბრიტანეთის, ნორვეგიის, შვედეთის, ნიდერლანდების, ჩინეთის, ავსტრალიის, თურქეთის, იაპონიის, ინდოეთის, ნიგერიის წარმომადგენლები. ამავდროულად საერთაშორისო ორგანიზაცი-

ების: ევროპის კავშირის, FAO-ს, ბილ და მელინდა გეიტსის ფონდის, IFAD-ის, მსოფლიო ბანკის, გლობალური ფორუმის და CACAARI-ის წარმომადგენლები, სულ 24 წევრი.

სხდომაზე განხილული იქნა 6 საკითხი: სტრატეგია და მიღებული შედეგები; CGIAR-ის მეორე თაობის კვლევითი პროგრამები; CGIAR-ის სტრუქტურა და სახელმძღვანელო დოკუმენტი; კვლევის რესურსების მობილიზაცია და ინოვაციური დაფინანსება; მშრალი რეგიონების კვლევის CGIAR-ისეული ხედვა და გენბანკების დაფინანსების საკითხები. საკითხების განხილვაში აქტიური მონაწილეობა მიიღო აკად. გ. ალექსიძემ, რომლის გამოსვლებიც მიმართული იყო რეგიონების ინტერესების დაცვისაკენ. ყოველ საკითხზე მიღებული იქნა შესაბამისი დადგენილება, რომელიც გაზიარებული იქნა საბჭოს წევრების მიერ.

მომდევნო სხდომა ჩატარდება ქ. ვაშინგტონში 2015 წლის ნოემბერში.



აკად. გურამ ალექსიძე CGIAR-ის საბჭოს მე-13 სხდომაზე.

ბელარუსიის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე სტუმრად საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში

2015 წლის 22 აპრილს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საქმიანი ვიზიტით ესტუმრა ბელარუსიის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ვლადიმერ გუსაკოვი და ამავე აკადემიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, აკადემიკოსი სერგეი ჩიოკი.

სტუმრებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან შეხვდნენ აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე, პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ანატოლი გიორგაძე, აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე, აკადემიკოსები რევაზ მახარობლიძე და არჩილ ვაშაკიძე.

საპატიო სტუმრების ვიზიტის მიზანი იყო ორ აკადემიას შორის თანამშრომლობის ხელშეკრულების ხელმოწერის წინ ინფორმაციების გაცვლა, გარკვეულ საკითხებში აზრთა გაზიარება და ხელის მოწერის მოსამზადებელ პერიოდში გარკვეული ორგანიზაციული საკითხების განხილვა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა და ბელარუსიის მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიებს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულებას ხელი მოეწერება 2015 წლის 23 აპრილს, როდესაც საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ესტუმრება ბელარუსიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო და უმაღლეს დონეზე გაიმართება საქართველოსა და

ბელარუსიის რესპუბლიკას შორის ჩარჩო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის ცერემონია. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში მოხდება აგრეთვე საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა და ბელარუსიის მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიებს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის ცერემონიაც.

საპატიო სტუმრები გაეცნენ აკადემიის სტრუქტურას, სამეცნიერო თემატიკას, სამომავლო პერსპექტივებს, რომლებიც მათ გააცნო აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ. თავის მხრივ აკადემიკოსმა ვ. გუსაკოვმა ისაუბრა იმ სამომავლო გეგმებზე, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან. აღინიშნა, რომ ბელარუსიის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას საჩუქრად გადასცემს წიგნების 1600 ტომს, რომლებიც სოფლის მეურნეობის ყველა დარგია წარმოდგენილი. სტუმრებმა დაათვალიერეს აკადემიის სამეცნიერო ბიბლიოთეკა და საგამოფენო დარბაზი, რომელიც ექსპონანტების მიღებისათვის არის გამზადებული.



საქმიანი შეხვედრა
ბელარუსიის მეცნიერებათა ეროვნულ და საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიების ხელმძღვანელებს შორის.



მარჯვნიდან - ბელარუსიის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე,
აკადემიკოსი ვლადიმერ გუსაკოვი და ამავე აკადემიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი
მოადგილე, აკადემიკოსი სერგეი ჩიჟიკი.

ინფორმაცია

**USAID-ის წარმომადგენლის საქმიანი ვიზიტი
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიაში.**

2015 წლის 8 მაისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას საქმიანი ვიზიტით ესტუმრა აშშ-ის ვირჯინიის პოლიტექნიკური ინსტიტუტის და სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიომასალების მდგრადობის დეპარტამენტის პროფესორი ტომ ჰამმეტი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს USAID-ის (აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო) პროექტების მონიტორინგის ხელმძღვანელს და შემფასებელს.

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიის მხრიდან - პრეზიდენტმა, აკად. გ. ალექსიძემ, ვიცე-პრეზიდენტმა, აკად. გ. ჯაფარიძემ, პრეზიდენტის მოადგილემ დოქტ. ა. გიორგაძემ, აკადემიური დეპარტამენტის უფროსმა, აკადემიის წ/კ ე. შაფაქიძემ, ფერმერთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის ხელმძღვანელმა აკად. ო. ქეშელაშვილმა და აკადემიის პრეზიდენტის მრჩეველმა საერთაშორისო ურთიერთობების დარგში თ. ეპიტაშვილმა.

შეხვედრაზე ძირითადად განიხილეს აკადემიაში ჩამოყალიბებული ფერმერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის საქმიანობა, მისი მიზნები და ამოცანები, სამომავლო პერსპექტი-

ვები. აღინიშნა აგრეთვე, რომ ამ საქმიანობაში აუცილებელია აკადემიის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთობლივი მუშაობა და ის პერსპექტივები, რომლებიც განხორციელებას პოვებენ USAID-ის და სამინისტროს მხრიდან აკადემიის დახმარებაში, რაც გამოიხატება აკადემიის მიერ 2014-2015 წლებში მომზადებული რეკომენდაციების ფართო ტირაჟირებაში, კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის მატერიალურ – ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაში, კონსულტაციების მეთოდის დახვეწაში და ა.შ. მხარეები შეთანხმდნენ, რომ საჭიროა აკადემიამ ამ მიმართულებით უახლოეს ვადებში მოამზადოს შესაბამისი დოკუმენტაცია USAID-ის და სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის.



**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობის
შეხვედრა ამერიკელ სტუმართან.**



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე და USAID-ის პროექტების მონიტორინგის ხელმძღვანელი პროფესორი ტომ ჰამმეტი.

მრგვალი მაგიდა

“აგროინჟინერიის საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ”

2015 წლის 13 მაისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა მრგვალი მაგიდა თემაზე: “აგროინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ”. აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგროინჟინერიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა რ. მახარობლიძემ და აკადემიკოსმა ა. დიდებუმიძემ, აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, აკადემიური დეპარტამენტის უფროსმა ე. შაფაქიძემ; აკადემიის პრეზიდენტის მოადგილემ, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორმა, დოქტორმა ა. გიორგაძემ; საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს წარმოადგენდნენ პროგრამის ავტორები: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეროვნული კოორდინატორი სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორაციის მიმართულებით, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი ირაკლი ყრუაშვილი და სპ. ჰიდრომელიორაციის

დარგობრივი ჯგუფის წევრი, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი ზურაბ ლობჯანიძე;

მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე სტუ-ს თანამშრომლებმა - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა დ. გუბელაძემ, დოქტორებმა დ. ორმოცაძემ, ლ. მაისაშვილმა და კ. ბზიაევამ.

განხილული საგანმანათლებლო პროგრამის ირგვლივ გაიმართა დისკუსია, გამოითქვა შენიშვნები და წინადადებები, რომელიც მთლიანად გაიზიარეს პროგრამის ავტორებმა.

ზემოთ აღნიშნული მრგვალი მაგიდა და საგანმანათლებლო პროგრამის განხილვა გაიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის გაფორმებულ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე.



მრგვალი მაგიდის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის განხილვა.

ინფორმაცია

2015 წლის 20 მაისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მთიანეთის კომისიისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეტყვევობის მიმართულების ეროვნული კოორდინატორების ორგანიზებით ჩატარდა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია “**საქართველოს მთის ტყეების დღევანდელი მდგომარეობა**”.

კონფერენციაზე მოხსენებით “**სატყეო მეურნეობის მდგრადი განვითარების პრინციპები**” გამოვიდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეტყვევობის მიმართულების ეროვნული კოორდინატორი რევაზ ჩაგელიშვილი. საქართველოში სატყეო განათლების საკითხებზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეტყვევობის მიმართულების ეროვნულმა კოორდინატორმა, პროფესორმა გიორგი გაგოშიძემ. ტყის დაცვითი ფუნქციების შესახებ მოხსენება გააკეთა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეტყვევობის მიმართულების ეროვნული კოორდინატორის ჯგუფის წევრმა, მეცნიერებათა დოქტორმა ლაშა დოლიძემ. ასევე მოხსენებებით გამოვიდნენ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თემურ კანდელაკი, თავისუფალი ექსპერტი მერაბ დვალი.

ევროპის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების კავშირის ფორუმი ქ. კიევში (უკრაინა)

2015 წლის 21-22 აპრილს ქ. კიევში უკრაინის ეროვნულმა აგრარულ მეცნიერებათა აკადემიამ უმასპინძლა ევროპის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების კავშირის ფორუმს, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ: ჩეხეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, ლატვიის სოფლის მეურნეობისა და მეტყვევობის მეცნიერებათა აკადემია, მოლდოვას მეცნიერებათა აკადემია, რუმინეთის სოფლის მეურნეობისა და მეტყვევობის მეცნიერებათა აკადემია, უკრაინის ეროვნული აგრარული მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, საფრანგეთის სოფლის მეურნეობის

მეცნიერებათა აკადემია, ნორვეგიის სასოფლო სამეურნეო და გარემოს დაცვის ინსტიტუტი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას აღნიშნულ ფორუმზე წარმოადგენდა და მოხსენებით გამოვიდა აკადემიკოსი რევაზ ასათიანი. მოხსენების თემა “სახელმწიფოს პოლიტიკა სოფლის მეურნეობის დაფინანსებაში”. ფორუმის დასასრულს მიღებული იქნა დეკლარაცია “ევროპის აგრარული მეცნიერებათა აკადემიების, სამეცნიერო ცენტრებისა და რეგულატორი ინსტიტუტების ერთობლივი ძალისხმევის შესახებ აგრარულ მეცნიერებაში განსახორციელებელ რეფორმებში.”



ევროპის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების კავშირის ფორუმი

საერთაშორისო სემინარი

მიმდინარე წლის 28 მაისს კომპანია “ლომთაგორაში” გაიმართა საშემოდგომო ხორბლის გაუმჯობესების პროგრამა IWWIP—ს საერთაშორისო სემინარის (აზერბაიჯანი – საქართველო) გახსნა, რომლის მიზანია საერთაშორისო მიღწევებისა და გამოცდილების გაზიარება. სემინარზე წარმოდგენილი იყო მონაწილე ქვეყნების პრეზენტაციები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. სემინარი ორგანიზებული იყო გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის, სიმიტის და იკარდის მიერ. მასში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ქვეყნის 40-მდე წარმომადგენელმა (საქართველო, აზერბაიჯანი, უკრაინა, რუსეთი, თურქეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი და სხვა). სემინარის გახსნას ესწრებოდნენ: სოფლის მეურნეობის სამინისტროს, პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის, სოფლის მეურნეობის კვლევითი ცენტრის, არასამთავრობო ორგანიზაციები და ფერმერები. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ: აკადემიკოსები ომარ ქეშელაშვილი და ჯემალ გუგუშვილი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ოთარ ლიპარტელიანი, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე, აკადემიის პრეზიდენტის თანაშემწე, საერთაშორისო ურთიერთობების კოორდინატორი თინათინ ეპიტაშვილი.



სსმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ოთარ ლიპარტელიანი, აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი, სსმ აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე



სსმ აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე და სსმ აკადემიის პრეზიდენტის თანაშემწე, საერთაშორისო ურთიერთობების კოორდინატორი თინათინ ეპიტაშვილი.

ინფორმაცია

2015 წლის 01-05 ივნისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში მოეწყო რესპუბლიკური გამოფენა “ინოვაციური და მეცნიერებატევადი პროდუქციის ნიმუშები”; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან გამოფენაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსებმა რევაზ მახარობლიძემ, ჯემალ კაციტაძემ და თენგიზ ყურაშვილმა. გამოფენაზე მათ მიერ წარდგენილმა ტექნოლოგიებმა და პროდუქციამ დიდი მოწონება დაიმსახურეს. სამივე აკადემიკოსს გადაეცათ გამოფენაში მონაწილეობის სერტიფიკატები, მომავალში გათვალისწინებულია წარმოებაში წინადადებების განხორციელებისათვის შესაბამისი მასალების მომზადება.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია აზერბაიჯანში

2015 წლის 1-6 ივნისს აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში ჩატარდა ევრაზიის ქვეყნების ბიომრავალფეროვნებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდა ცხრა ქვეყნის ორასამდე დელეგატი.

პლენარულ სხდომაზე კონფერენცია გახსნა აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა აკიფ ალიზადემ. ფორუმის მონაწილეებს მიესალმნენ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი ჰაიდარ ასადოვი, თურქეთის რესპუბლიკის რამიკ-კალეს უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი ჰუსეინ ბაჰჩი, ყაზახეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი ირადა ჰუსეინოვა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ/კორესპონდენტი, ბათუმის შოთა რუსთაველს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი რეზო ჯაბნიძე, მარდაგიანის დენდროლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ტოფიკ მამმადოვი, სოხუმის

სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ვაჟა თოდუა, ბელარუსიის აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი ანა ბულატოვა და სხვები. პროგრამის მიხედვით კონფერენციის ყოველი დღე, გათვლილი იყო, როგორც სექციური, ასევე საველე და პრაქტიკული მუშაობისათვის.

კონფერენციაზე ძირითადი ყურადღება გამახვილებული იყო ჰიდრობიოლოგიური კვლევების შედეგების განხილვისა და თანამედროვე ბიოტექნოლოგიური პროცესების გამოყენების, ასევე მრავალწლიანი და ხეხილოვანი კულტურების, ბიოლოგიური თავისებურებების გენეტიკური, სელექციური, აგროტექნიკური, ჰიდროლოგიური, ეკოლოგიური და მრავალი სხვა მიმართულებით სოფლის მეურნეობაში დანერგვის საკითხებზე.



კონფერენციის პრეზიდიუმში - მარცხნიდან მარჯვნივ: თურქეთის რესპუბლიკის რამიკ-კალეს უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ჰუსეინ ბაჰჩი; აზერბაიჯანის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი ჰაიდარ ასადოვი; აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი აკიფ ალიზადე; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ/კორესპონდენტი, ბათუმის შოთა რუსთაველს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი რეზო ჯაბნიძე; მარდაგიანის დენდროლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ტოფიკ მამმადოვი.

ინფორმაცია

შეხვედრა კორეის რესპუბლიკის წარმომადგენლებთან

2015 წლის 17 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საქმიანი ვიზიტით ეწვია კორეის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრობიომრავალფეროვნების ეროვნული ცენტრის დირექტორი, დოქტორი სოკ-იონგ ლი და ამავე ცენტრის უფროსი მეკვლევარი, დოქტორი ჰონგ პარკი.

სტუმრებთან შეხვედრას აკადემიის მხრიდან ესწრებოდნენ სსმ აკადემიის აკადემიკოსები გ. ალექსიძე, გ. ჯაფარიძე, ნ. ჩხარტიშვილი, რ. ჩაგელიშვილი,

გ. კვალიაშვილი, გ. მარგველაშვილი, ო. ქეშელაშვილი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტები ე. შაფაქიძე, თ. თურმანიძე, ო. ლიპარტელიანი, პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ა. გიორგაძე, საერთაშორისო ურთიერთობის საკითხებში პრეზიდენტის თანაშემწე თ. ეპიტაშვილი, მოწვეული სტუმრები - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტიდან, დოქტორი დ. მალრაძე და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერ-კვლევითი ცენტრის თანამშრომლები.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა და აგრობიომრავალფეროვნების მნიშვნელობასა და მის შენარჩუნებაზე ისაუბრა აკადემიის პრეზიდენტმა აკად. გურამ ალექსიძემ.

თავის გამოსვლაში დოქტორმა სოკ-იონგ ლიმ ისაუბრა კორეის რესპუბლიკის აგრობიომრავალფეროვნების ეროვნული ცენტრის სტრუქტურაზე, მის ფუნქციებზე და საქმიანობაზე. ყურადღება გაამახვილა გენეტიკური რესურსების ბანკზე და მის დიდ მნიშვნელობაზე ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში; სურვილი

გამოთქვა, რომ მოხდეს ერწლიანი კულტურების კორეული ჯიშების საქართველოში გამოცდა და პირიქით - ქართული ჯიშების კორეაში გამოცდები.

დოქტორ სოკ-იონგ ლის მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია დამსწრე საზოგადოებაში. მან უპასუხა საკმაოდ მრავალ შეკითხვებს.

ამავე შეხვედრაზე აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. გალექსიძემ და კორეის რესპუბლიკის აგრობიომრავალფეროვნების ეროვნული ცენტრის დირექტორმა, დოქტორმა სოკ-იონგ ლიმ ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებას 5 წლის ვადით. ხელშეკრულებაში განსაზღვრულია აკადემიასა და კორეის რესპუბლიკის აგრობიომრავალფეროვნების ცენტრს შორის თანამშრომლობის მიმართულებები მემცენარეობაში ახალი ჯიშების გაცვლის, გენეტიკური რესურსების ბანკის სტრუქტურის დახვეწის და საქართველოში ახალი ჯიშების დანერგვის კუთხით, აგრეთვე აგრარული განათლების სრულყოფის და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესების, ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების გადამზადების და გაცვლითი სამეცნიერო მივლინებების მიმართულებით.



ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის პროცესი სსმ აკადემიასა და კორეის აგრობიომრავალფეროვნების ცენტრს შორის.

ინფორმაცია

ჩინეთის მეცნიერები საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში

2015 წლის 19 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ჩინეთის ნინგხიას ავტონომიური რეგიონის სატყეო სამეცნიერო ინსტიტუტის დელეგაცია ღირექტორის, პროფესორ შენ ხიადონგის ხელმძღვანელობით. დელეგაცია ხუთი წევრისაგან შედგებოდა, საიდანაც ოთხი ინსტიტუტის დეპარტამენტების ხელმძღვანელებს წარმოადგენდნენ.

აკადემიის მხრიდან შეხვედრას ესწრებოდნენ აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გურამ ალექსიძე, პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ა. გიორგაძე, აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ე. შაფაქიძე, აკადემიკოსი ო. ქეშელაშვილი, პრეზიდენტის თანაშემწე საერთაშორისო საკითხებში თ. ეპიტაშვილი.

ჩინელი სტუმრები აკადემიას წარუდგინა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელმა, დოქტორმა ღ. უჯმაჯურიძემ.

აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. გურამ ალექსიძემ სტუმრებს მოკლედ გააცნო აკადემიის სტრუქტურა, ფუნქციები, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. აღინიშნა, რომ აკადემიას თანამშრომლობის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ჩინეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან და დღემდე მათთან დამყარებულია მჭიდრო სამეცნიერო კონტაქტები. ასევე აღინიშნა აკადემიის

საქმიანობა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებთან, მათ შორის ბოლო შეხვედრა კორეის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრობიომრავალფეროვნების ცენტრთან და სხვა.

პროფესორმა შენ ხიადონგმა წარმოადგინა მისდამი რწმუნებული სატყეო ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები; აღინიშნა, რომ ჩინეთის მხარე დაინტერესებულია მევენახეობით და მეღვინეობით, ინფორმაცია გაკეთდა ამ კუთხით ჩატარებული სამუშაოების შესახებ. ჩინეთის მხარე ძალზე დაინტერესებულია ვენახის ქართული ჯიშებით, ქართული მეღვინეობით და განსაკუთრებით ქვევრის ღვინის წარმოებით. გამოითქვა მოსაზრება შემდგომში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და ჩინეთის სატყეო ინსტიტუტის სამეცნიერო თანამშრომლობის შესახებ.



ჩინელი მეცნიერების დელეგაციასთან შეხვედრა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში (თბილისი, 19.06.2015)

მრგვალი მაგიდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში

2015 წლის 23 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე: "აგრარულ სფეროში მეცნიერებისა და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების არსებული მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ".

მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობდნენ აკადემიის ნამდვილი წევრები (აკადემიკოსები) გ. ჯაფარიძე, რ. მახარობლიძე, ა. დიდუბუღიძე, ა. ვაშაიძე, თ. ყურაშვილი, ზ. ციტიშვილი, ნ. ბალათური, ჯ. ონიანი, გ. გუგუშვილი, რ. ჩაგელიშვილი, ი. ვასაძე, ვ. კვალაშვილი, გ. მარგველაშვილი, ო. ქეშელაშვილი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტები ე. შაფაქიძე, თ. თურმანიძე, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ა. გიორგაძე და მოწვეული სტუმრები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი პროფ. გ. ქვარცხავა, ფაკულტეტის თანამშრომლები პროფ. ი. ყრუაშვილი, გ. გაგოშიძე, ზ. ლობჯინიძე, გორის სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფ. ვ. სუხიშვილი.

მრგვალ მაგიდას უძღვებოდა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკად. გივი ჯაფარიძე, რომელმაც შესავალ სიტყვაში აღნიშნა საკითხის აქტუალობა, ტექნიკური უნივერსიტეტის ძალისხმევა აგრარული განათლების აღორძინებისათვის და იქ გახსნილი აგრარული მიმართულების ფაკულტეტის სპეციალობების საგანმანათლებლო პროგრამებისა და ამ მიმართულებით აკადემიის როლის და ძირითადი ხედვების შესახებ.

სტუ-ის აგრარული მეცნიერებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანმა, პროფ. გიგა ქვარცხავამ დამსწრე საზოგადოებას გააცნო უნივერსიტეტში ახლად გახსნილი ფაკულტეტის სტრუქტურა, მისი ფუნქციები, სტუდენტთა შემადგენლობა, ფაკულტეტის განვითარების პერსპექტივები და აღნიშნა ამ ტიპის საკითხებით აკადემიის დაინტერესების დიდი მნიშვნელობა.

დისკუსიაში მონაწილე ყველა გამომსვლელმა აღნიშნა, რომ ქვეყანა განიცდის აგრარული დარგის სპეციალისტების დეფიციტს, საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამები ევროდნობოდნენ საზღვარგარეთის წამყვანი აგრარული მიმართულების უნივერსიტეტების გამოცდილებას და პროგრამებს, საჭიროა გამოინახოს სტუდენტთა პრაქტიკის ობიექტები და საწარმოები თბილისთან ახლოს.

მიზანშეწონილია აკადემიის მეცნიერების გამოყენება ახალი სალექციო კურსების შესაქმნელად და მათი მოწვევა ლექციების ჩასატარებლად, მეცნიერების პოტენციალის გამოყენება სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მიმართულებით მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში.

მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა მოიწონეს წინადადებები, რომ სტუ-ს აგრარული მიმართულების ფაკულტეტის ყველა საგანმანათლებლო პროგრამები განხილული იქნეს აკადემიის დარგობრივი სამეცნიერო განყოფილებების მიერ, როგორც ეს მოხდა აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილებაში აგროინჟინერიის საგანმანათლებლო პროგრამის განხილვისას. ეს ღონისძიებები კიდევაც არის ასახული აკადემიისა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის გაფორმებულ მემორანდუმში.



მრგვალ მაგიდას უძღვება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკად. გივი ჯაფარიძე



მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილე აკადემიის წევრები და მოწვეული სტუმრები.

მრგვალი მაგიდა საქართველოში ქარსაფარი ზოლების შესახებ

2015 წლის 24 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს ინიციატივით ჩატარდა მრგვალი მაგიდა, რომელიც მიემდგვნა საქართველოში ქარსაფარი ზოლების არსებულ მდგომარეობას და სამომავლო ამოცანებს.

მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკად. გ.ჯაფარიძემ, აკად. ე. გუგუშვილმა, აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ე. შაფაქიძემ, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილემ, დოქტორმა ა. გიორგაძემ, სამეცნიერო საბჭოს წევრებმა და მოწვეულმა სტუმრებმა.

მრგვალი მაგიდის მუშაობას უძღვებოდა აკად. ე. გუგუშვილი. ძირითადი მოხსენება “საქართველოში ქარსაფარი ზოლების არსებული მდგომარეობა და ამ მიმართულებით სამომავლო პერსპექტივები” გააკეთა აკადემიის ეროვნულმა კოორდინატორმა სატყეო მიმართულებით, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გ. გაგოშიძემ. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს აკად. გ. ჯაფარიძემ, აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა ლ. დოლიძემ და გ. მაძღარაშვილმა, პროფესორებმა რ. რუსიიშვილმა, ვ. ბუჩუკურმა და თ. ჭუმბურიძემ.

მომხსენებელმა და გამომსვლელებმა აღნიშნეს ის საგანგაშო მდგომარეობა, რომელიც დღეისათვის შექმნილია ქარსაფარი ზოლებთან დაკავშირებით. ითქვა, რომ თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით სოფლის მოსახლეობის მძიმე ეკონომიკური პირობების გამო განადგურებულია ქარსაფარი ზოლები, რომელმაც უარყოფითი გავლენა იქონია სოფლის მეურნეობის ერთ-

წლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების ზრდა-განვითარებასა და შესაბამისად მოსავლიანობაზე. საჭიროა სოფლის მეურნეობის და ბუნებრივი რესურსების და გარემოს დაცვის სამინისტროების შესაბამისი დეპარტამენტების მიერ გატარდეს ქმედითი ღონისძიებები ამ მიმართულებით, ხოლო საქართველოს პარლამენტმა დახატებული წესით დაიწყოს კანონის “ქარსაფარი ზოლების შესახებ” განხილვა, რომელიც აკადემიის ძალისხმევით არის მომზადებული. საჭიროა ჩატარდეს მოსახლეობაში ძალზე დიდი განმარტებითი ღონისძიებები ქარსაფარი ზოლების მნიშვნელობის, მათი აღდგენის და რეაბილიტაციის მიმართულებით, განემარტოს მოსახლეობას ქარსაფარი ზოლების სასიკეთო მნიშვნელობის შესახებ. დაევადა სამეცნიერო საბჭოს მრგვალი მაგიდის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებები და შესაბამისი დასკვნები აცნობოს ზემოთ აღნიშნულ ორივე სამინისტროს და საქართველოს პარლამენტს.

მრგვალი მაგიდის მუშაობა შეაჯამა აკადემიკოსმა ელგუჯა გუგუშვილმა, რომელმაც აღნიშნა განხილული საკითხის ქვეყნის სოფლის მეურნეობისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა და ამ მიმართულებით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის როლისა და ფუნქციების შესახებ.

ინფორმაცია

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პროფკავშირული ორგანიზაციის საერთო კრება.

ა.წ. 26 იენისს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პროფკავშირული ორგანიზაციის საერთო კრება.

კრებას ესწრებოდნენ:

ა) აკადემიის პრეზიდენტი – აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, აკადემიკოსები – ომარ ქეშელაშვილი და ჯემალ გუგუშვილი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი ანატოლი გიორგაძე და სხვ. ბ) მოწვეული სტუმრები საქართველოს სოფლის მეურნეობის, მსუბუქი, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ქალბატონი კლარა მაჭარაშვილი, და თბილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ვლადიმერ ლომსაძე. კრებას თავმჯდომარეობდა გ. მოსაშვილი.

დამსწრე საზოგადოებას მიმართა ქალბატონმა კლარა მაჭარაშვილმა, რომელმაც ილაპარაკა პროფკავშირების როლზე დღევანდელ პირობებში, შეეხო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პროფკომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის – დოქტორ ანატოლი გიორგაძის საქმიანობას და მადლობა გადაუხადა გაწეული ნაყოფიერი მუშაობისათვის.

კრებაზე აირჩიეს სმმ აკადემიის პროფკომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა. საერთო კრებაზე არჩეულ იქნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის, მსუბუქი, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობის დელეგატები.

საერთო კრებაზე გაფორმდა ახალი კოლექტიური ხელშეკრულება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და ამავე აკადემიის პროფკავშირულ ორგანიზაციას შორის.

ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტს ხელი მოაწერეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა – აკად. გურამ ალექსიძემ და პროფკომიტეტის თავმჯდომარემ – დოქტორმა გ. მოსაშვილმა. ხელმოწერის შემდეგ ხელშეკრულების ტექსტი დამტკიცდა საერთო კრების საოქმო გადაწყვეტილებით.



კოლექტიურ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის პროცესი

წინა პლანზე:

ქალბატონი კლარა მაჭარაშვილი;
აკადემიკოსი გურამ ალექსიძე;
დოქტორი გივი მოსაშვილი;
ვლადიმერ ლომსაძე;

უკანა პლანზე:

ციალა თეგეტაშვილი; დოქტორი
ანატოლი გიორგაძე; ხაზინადარი –
ეთერ ყურაშვილი.

მილოცვა

აკადემიკოსი ნაკოლეონ ქარქაშაძე



ვ 80 ზ

2015 წლის 15 მაისს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა, გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, საქართველოსა და რუსეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილ წევრს, უმაღლესი სკოლის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის ნამდვილ წევრს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ბატონ ნაკოლეონ ქარქაშაძეს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭო ულოცავს იუბილარს ამ ღირშესანიშნავ თარიღს, უსურვებს ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და დიდ შემოქმედებით წარმატებებს ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ, როგორც სამეცნიერო, ისე საზოგადოებრივ ასპარეზზე

მილოცვა

აკადემიკოსი თამაზ კუნჭულია



ვ 80 ზ

2015 წლის 01 ივლისს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდება, გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს თამაზ კუნჭულიას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულითადად ულოცავს აკადემიკოს თამაზ კუნჭულიას დაბადებიდან 80 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 55 წლისთავს, უსურვებს ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ნაყოფიერ შემოქმედებით სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ

მრგვალი მაგიდა
რეგიონებში აგროსაინჟინრო სფეროს
მდგომარეობის შესახებ

2015 წლის 29 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე: “აგროსაინჟინრო სფეროში რაიონების საკონსულტაციო-საინფორმაციო ცენტრების როლის გაზრდის შესახებ”.

აკადემიიდან მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკად. გ. ჯაფარიძემ, აგროსაინჟინრო და ეკონომიკური სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს-მდივნებმა - აკად. რ. მახაროშვილმა და ო. ქეშელაშვილმა, აკადემიური დეპარტამენტის უფროსმა, საგრანტო პროექტის FR/454/10-140/14 ხელმძღვანელმა - აკადემიის წ/კ ე. შაფაქიძემ, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორმა ა. გიორგაძემ, აკადემიკოსებმა ჯ. კაციტაძემ და ა. დიდუბუღიძემ, აკადემიური დეპარტამენტის თანამშრომლებმა და აკადემიიდან წარდგენილი ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო-სამეცნიერო გრანტების 2014 წლის კონკურსში გამარჯვებული პროექტის: “ტექნოლოგიური პროცესების ენერგოდანახარჯების გაანგარიშების საფუძველზე რაციონალური სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის აუცილებელი ტექნიკის ნომენკლატურისა და რაოდენობის განსაზღვრის მეთოდის დამუშავება რეგიონში კულტურათა სახეობებისა და დაკავებული ფართობების მიხედვით” ძირითადმა და დამხმარე პერსონალმა გ. ჩიტაიამ, გ. მოსაშვილმა, რ. ჯაფარიძემ, კ. ბოძაშვილმა და მ. მოსაშვილმა.

მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობდნენ მოწვეული სტუმრები: აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ი. აბულაძე, იმერეთის, მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლის, გურიის და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონების საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელები – რ. ძიძიშვილი, ნ. კიკნაველიძე, მ. ლომსაძე, ო. ჩხარტიშვილი და ა. მიქავა. დმანისის, საგარეჯოს, ახალქალაქის, ონის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის და ხულოს რაიონების საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახურის უფროსები – ნ. ციხელაშვილი, ნ. ჯავახიშვილი, რ. გოგალაძე, ტ. ლობჯანიძე, მ. ნიჟარაძე, ა. ვაშაყაძე, ს. შერვაშიძე, ა. კაკალაძე და რ. შანთაძე; ჟურნალ “ახალი აგრარული საქართველოს” რედაქტორი შ. მაჭარაშვილი.

მრგვალი მაგიდის მონაწილეებს აკადემიის აკადემიური საბჭოს სახელით მიესალმა აკად. გ. ჯაფარიძე; რეგიონებში აგროსაინჟინრო სამსახურის როლსა და პერსპექტივებზე ისაუბრა აკად. რ. მახაროშვილმა, რაიონებში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო კულტურე-

ბის და ფართობების მიხედვით ტექნიკის ნომენკლატურის და რაოდენობის განსაზღვრის მნიშვნელობასა და მეთოდისაზე ისაუბრა აკადემიის წ/კ და საგრანტო პროექტის ხელმძღვანელმა ე. შაფაქიძემ, ფერმერების და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ დამსწრე საზოგადოებას ესაუბრა აკად. ო. ქეშელაშვილი.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ი. აბულაძემ, რეგიონების და რაიონების საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელებმა რ. ძიძიშვილმა, ნ. კიკნაველიძემ, მ. ლომსაძემ, ო. ჩხარტიშვილმა, ა. მიქავამ, ნ. ციხელაშვილმა, ნ. ჯავახიშვილმა, რ. გოგალაძემ და ტ. ლობჯანიძემ; საგრანტო პროექტის ძირითადმა შემსრულებელმა გ. მოსაშვილმა.

რეგიონების და რაიონების წარმომადგენლებმა აღნიშნეს ის საკითხები, რომლებიც პრობლემატურია რაიონებში, მათ შორის:

- ტექნიკური პერსონალის (ოპერატორები, მექანიზატორები) მომზადების დაბალი დონე და ამის გამო ის პრობლემები, რომელიც თან ახლავს თანამედროვე სას. სამ. ტექნიკის მართვისა და ექსპლუატაციის საკითხებს;

- მოხდეს მუნიციპალიტეტში ტერიტორიული ორგანოების მიხედვით საჭირო ტექნიკის ნომენკლატურის დადგენა, რითვისაც მიზანშეწონილია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას მიეწოდოს რაიონების საწყისი პარამეტრები და არსებული ტექნიკის და მათი ტექნიკური მდგომარეობის სრული სურათი;

- შეიქმნას რაიონებში მცირე სიმძლავრის მექანიზაციის სერვის-ცენტრები და მოხდეს მათი საჭირო მარაგ-ნაწილებით და საწვავით შეუფერხებელი მომარაგება;

- გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები რათა არ ჰქონდეს ადგილი ტექნიკის მოცდენას – სეზონის განმავლობაში ერთი ტრაქტორის საშუალო დატვირთვა არ უნდა იყოს 150 ჰა-ზე ნაკლები;

- საზღვარგარეთიდან საქართველოში ტექნიკის შემოყვანამდე მოხდეს მისი სავსე გამოცდა რეგიონების ნიადაგობრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით;

- საქართველოში განხორციელდეს მინი

ტრაქტორებით (განსაკუთრებით ვენახის მცირე სიმძლავრის ტრაქტორებით) და მოტობლოკებით ფერმერების ფართო მომარაგება მათთვის მისაღები ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით;

- სასურველია კოოპერატივებისათვის გაგრძელდეს მოტობლოკების შედავითიან პირობებში შესყიდვის პროექტი, რაც ხელს შეუწყობს მცირე კონტურიანი ნაკვეთების დამუშავებას;

- გაძლიერდეს და გაფართოვდეს აგრარიკოს მეცნიერების მიერ რეგიონებში გამსუ-

ლელი სემინარების და პრაქტიკული ხასიათის მეცადინეობების ჩატარების პრაქტიკა;

- დასამუშავებელია რეგიონების მექანიზატორთა და საერთოდ სოფლის მეურნეობის მუშაკთა სწავლების საკითხები და ამ მიმართულებით მისასაღმებელია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ფერმერთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსების ჩამოყალიბება და სასწრაფოდ უნდა მოხდეს მისი პრაქტიკული განხორციელება.



მრგვალი მაგიდის მონაწილეებს მიესალმება აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკად. გ.ჯაფარიძე



მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილე რეგიონების და რაიონების საკონსულტაციო-საინფორმაციო ცენტრების ხელმძღვანელები და აკადემიის თანამშრომელები.

მეორე კვარტალში სულ მოსმენილი და განხილული იქნა 9 საკითხი. მათ შორის აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ "მოამბის" მიერ 2014 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ. მომხსენებლები: აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ "მოამბის" მთავარი რედაქტორი, აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე; სამეცნიერო ჟურნალ "მოამბის" პასუხისმგებელი მდივანი მიხეილ შუბითიძე; აკადემიის მულტიმედიური გამოფენის მოწყობის ორგანიზაციის მიმდინარეობის შესახებ. მომხსენებლები: აკადემიის ვიცე პრეზიდენტი, აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე; აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, დოქტორი ანატოლი გიორგაძე; აგრარულ სფეროში ექსპერტის წოდების მიმნიჭებელი კომისიის დებულების შესახებ. მომხსენებელი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე.

განხილულ ცალკეულ საკითხებზე, რეკომენდაციებზე სათანადო რეაგირებისათვის ეცნობოდა ზემდგომ ორგანოებს.

გახეთ "აკადემიის მაცნეს" მთავარი რედაქტორი:

გახეთ "აკადემიის მაცნეს" მთავარი რედაქტორის მოადგილე:

გახეთ "აკადემიის მაცნეს" პასუხისმგებელი მდივანი:

სსმ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი-აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე

სსმ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, სოფლის მეურნეობის დოქტორი ანატოლი გიორგაძე

სსმ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, ტექნიკის დოქტორი გივი მოსაშვილი

"აკადემიის მაცნე" - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ "მოამბის" დამატება. "News of Academy" - addition of a scientific magazine "Moambe" of The Academy of Agricultural Sciences of Georgia.